# გილოცავთ გიორგობას!

ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali-Taoba

## „ახალი თაობა“+ „ბითლზები“ 8 ლარი 23 ნოემბრიდან

ოთხშაბათი, 23 ნოემბერი, 2011 №278 (5658) ფასი: 30 თეთრი

# ხელისუფლებამ „ქართული ოცნების“ ოფისი ალყაში მოაქცია გვ. 3

ივანიშვილის მოძრაობის პრეზენტაციის ახალი თარიღი უცნობია





## ნუგზარ წიკლაური: მედვედევმა ომის დაწყება აღიარა გვ. 2



## ზაზა ხატიაშვილი: ხელისუფლებამ ადვოკატების დევნის ახალი ტალღა დაიწყო გვ. 3



## „ატსტუკენიკები“ პარლამენტთან შიმშილობას იწყებენ გვ. 4

## უშიშროების თანამშრომელი ჟურნალისტს აშანტაჟებდა

გვ. 5 როგორ „დასაჯა“ ხელისუფლებამ შანტაჟისტი

# მთავრობის სხდომები ქუთაისშიც გაიმართება გვ. 2

## „დემოკრატიული მოძრაობა“ ამომრჩეველთა სიის გადამოწმების მიზნით ალტერნატიული ცენტრის ჩამოყალიბებას ითხოვს გვ. 2





## როგორ გადამოწმდება სიები გვ. 6

## თბილისი სარგსიანის დასახვედრად ემზადება გვ. 6





## ჯემალ გამახარია: „აფხაზეთის პრობლემის მოსაგვარებლად ნებისმიერი გზა მისაღებია“ გვ. 4

ISSN 1987-9385

2 ილია II დღეს მოსკოვის წმ. გიორგის სახელობის ქართულ ტაძარში წირვას აღავლენს

6 მედვედევის განცხადებას ვაშაძე გამოეხმაურა

2 გიგი უგულავა სახელოვნებო სკოლების აღსაზრდელებსა და პედაგოგებს შეხვდა

6 აშშ-ის კონგრესის დელეგაცია თბილისს ეწვევა

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# ნუგზარ წიკლაური: მედვედევმა ომის დაწყება აღიარა

თეა მარხვაიძე

რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა ჩვენს ნაციონალებს დიდი საქმე გაუკეთა. ვლადიკავკაზში მყოფმა რუსთა ლიდერმა ფაქტიურად აღიარა, რომ აგვისტოს ომი რუსეთს აწყობდა. ეს პირველი შემთხვევა არ არის, როცა მედვედევი ასეთ განცხადებას აკეთებს. ჩვენმა ხელისუფლებამ კი ეს ამბავი ისე გაიკვირვა, ამერიკის აღმოჩენა რომ არ გაჰკვირვებია მაგელანს.

დიმიტრი მედვედევის განცხადებას პარლამენტის გუშინდელ სხდომაზე მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო. რუსეთის პრეზიდენტს ამაგი ნუგზარ წიკლაურმა დაუფასა. ის სიტყვის სათქმელად ტრიბუნაზე ავიდა და ომახიანად ამცნო საქართველოს, აწი ომის დაწყებას ვერავინ დაგვაბრალებსო.

— ბოლო დროს ბევრი საინტერესო რამ მოხდა, რომელიც ყურადღების გამახვილებას საჭიროებს. ეს მოვლენები შეეხება საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობის პრობლემას, რომელიც აგვისტოს ომის შემდეგ კიდევ უფრო გამწვავდა. რუსეთის ხელისუფლება ამ 3 წლის განმავლობაში ცდილობდა საერთაშორისო ასპარეზზე დაემკვიდრებინა მითი იმის შესახებ, რომ საქართველომ დაიწყო ომი. ამტკიცებდნენ, რომ საქართველო არის აგრესორი, ქართველები ხოცავდნენ დაუცველ მოხუცებს და უმწეო ბავშვებს. თურმე ჩვენ დავბომბეთ მძინარე ცხინვალი. საუბედუროდ, ჩვენი ქართველი კოლეგებიც იმეორებდნენ ამ აღმაშფოთებელ სიცრუეს. რუსეთის მთელი რესურსები იქნა გამოყენებული იმისათვის, რომ ეს მითი გამყარებულიყო, — ასე დაიწყო რუსეთის ბოროტი ზრახვების გამოაშკარავება წიკლაურმა.

დეპუტატი ბედნიერი და ამაყია იმით, რომ მსოფლიომ რუსეთს არ დაუჯერა და საქართველო გაამართლა.

— მთელი ცივილიზებული სამყარო დადგა საქართველოს მხარეს, რაც ცხადად მიანიშნებს იმაზე, სწორი იყო თუ არა ის პოლიტიკა, რომელიც ჩვენ ავირჩიეთ. ევროპარლამენტის რეზოლუციაში ცალსახად არის აღიარებული ეთნიკური წმენდა. რუსეთს აქვს დაკისრებული პასუხისმგებლობა ოკუპაციასა და ინტერვენციაზე. ამან კიდევ უფრო ცხადი გახადა ის, თუ ვის მხარეს არის სიმართლე. გამოჩნდა, თუ ვინ იყო აგრესორი და მსხვერპლი. ათი დღის წინ საქართველოში ჩამოსულმა ნატოს დელეგაციამ ცალსახად დაადასტურა, რომ ჩვენ, როგორც არასდროს, ისე ახლოს ვართ ნატოსთან. ყველაზე მთავარი იყო 21 ნოემბერს გაკეთებული რუსეთის პრეზიდენტის განცხადება. ეს ის ადამიანია, ვინც უშუალოდ გასცა ქართული სოფლების დაბომბვის ბრძანება. ჩვენ მისი აღიარებითი ჩვენება მოვისმინეთ, სადაც ის ამბობს, რომ ომი სამხრეთ ოსეთში ინსპირირებული იყო მათ მიერ. ამ ომის მიზანი იყო შეჩერებულიყო საქართველოს დაახლოება ნატოსთან. ჩვენ, ხალხი, სახელმწიფო და ეკლესია ერთად ვიდექით, რათა მიგვეღწია ამ მიზნისთვის. დღეს თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ სიმართლე გაცხადდა, — ამბობს ნუგზარ წიკლაური.

ამ სიმართლემ ნუგზარ წიკლაური ისე ააღელვა, რომ თარიღები აურია ერთმანეთში. მან 27 სექტემბერს გაკეთებული განცხადება გაიხსენა და რატომღაც ეს ერთი თვის წინანდელ



ნუგზარ წიკლაური

ამბად მონათლა. არადა, იმ ამბიდან 2 თვეა გასული. კითხვა მაშინ წიკლაურმა პეტრე მამრაძის ცემის შემდეგ დასვა. იმ დღეს მამრაძემ თქვა, ომი სააკაშვილმა დაიწყოო. ამის გაგონებაზე აკაკი ბობოხიძე ტე-74 ტიპის ტანკივით დაიძრა და მამრაძეს მუშტი გლიჯა. ოღონდ მამრაძეს ნირიც კი არ შეუხრია. ფრონტის დასრულების შემდეგ წიკლაურმა დასვა კითხვა: კიდევ გაბედავს ვინმე, საქართველომ დაიწყო ომიო.

გოროზმა ხევსურმა ეს კითხვა, როგორც ჩანს, მთლად მრისხანედ ვერ დასვა, რადგანაც საქართველოს ხელისუფლება კიდევ ბევრმა დაადანაშაულა ომის დაწყებაში. თან წიკლაურს თითქოს სადარდებელი აკლდა, ბიძინა ივანიშვილი გამოხტა და ახლა ის გაუხდა დასაკომენტარებელი. ისე წიკლაურის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ ბიზნესმენს მოსვენებას არ აძლევს. ვერ გეტყვით, რომ ეს ივანიშვილის რეიტინგზე დამღუპველად მოქმედებს, მაგრამ წიკლაური საუბრობს და საუბრობს. მან შანსი არც გუშინ გაუშვა ხელიდან. ასე თუ გააგრძელა, მალე შესაძლოა ბიძინისტიც კი გახდეს.

— მე ვიმეორებ კითხვას, შეგიძლიათ თუ არა გაიმეოროთ, რომ საქართველომ დაიწყო ომი? ამ კითხვას ვუსვამ რესპუბლიკურ პარტიას, ვკითხოთ აღზევებულ მდაბიო ბიძინა ივანიშვილს, ირაკლი ალასანიას და იმ ადამიანებს, რომლებიც ამტკიცებენ, რომ საქართველო იყო აგრესორი, — დააბრიალა თვალები წიკლაურმა, რომელმაც იმედი გამოთქვა, რომ მალე ეს ადამიანები ომის დაწყებასთან დაკავშირებით თავის შეხედულებებს შეიცვლიან.

— დარწმუნებული ვარ, აუცილებლად დადგება დღე, როცა აღდგება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა. იმ დღეს ვიტყვით, რომ საქართველო თავისუფალია. გულწრფელად მინდა, რომ თქვენ მაშინ ქართველთა რიგებში იდგეთ და არა პუტინ-მედვედევის მხარეს, — მიმართა რუსეთუმეებს წიკლაურმა.

მის გამოსვლას გულაჩუყებული ნაციონალებიტაშით შეხვდნენ. ზოგიერთს ისე აუჩუყდა გული, რომ მღელვარებისგან ტაშს აცილებდა.

წიკლაურს ტოლი არც პარლამენტის სპიკერმა დავით ბაქრაძემ დაუდო და მანაც შეაფასა მედვედევის აღიარება. ის წიკლაურზე უფრო დაკვირვებული აღმოჩნდა. სპიკერმა მედვედევი ორჯერ აღიარებაში გამოიჭირა.

— ძალიან ინტენსიურად გაშუქდა ის განცხადებები, რაც მედვედევმა სამხედროებთან შეხვედრის დროს გააკეთა. ნაკლები ყურადღება იქნა გამახვილებული პრესკონფერენციაზე, რომელიც მედვედევმა გამართა. იქ მან პირდაპირ განაცხადა, რომ ის რაც მოხდა 2008 წლის აგვისტოში, იყო ნატოსთვის გაგზავნილი სიგნალი. სიგნალი იმაზე, რომ სანამ გაფართოებას გადაწყვეტენ, უნდა იფიქრონ გეოპოლიტიკურ რეალობებზე. მედვედევმა ერთი დღის განმავლობაში ორჯერ აღიარა ერთი და იგივე. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, — განაცხადა პარლამენტის სპიკერმა.

მედვედევს განცხადება უყურადღებოდ არც საპარლამენტო ოპოზიციამ დაუტოვა. გიორგი თარგამაძე იმით არის გაოგნებული, რომ ხელისუფლებამ რუსეთის პრეზიდენტის განცხადება ძალიან გაიკვირვა.

— გასაკვირი ის არის, მედვედევის ეს განცხადება რომ უკვირს ვინმეს. კოსოვოს აღიარების შემდეგ, ჯერ კიდევ რუსეთის პრეზიდენტმა პუტინმა საინტერესო რამ განაცხადა. მან თქვა, რომ რუსეთს ჰქონდა ე.წ. დამაშნიე ზაგატოვკი, რითაც უპასუხებდნენ დასავლეთს, რომელმაც კოსოვოს დამოუკიდებლობა რუსეთის წინააღმდეგობის მიუხედავად აღიარა. სრულიად ნათელი იყო, რომ სწორედ საქართველო გახდებოდა ის მოედანი, სადაც იმპერიული რუსეთი გადაწყვეტდა პასუხის გაცემას. ამის გამო იყო, რომ ჩვენ, სხვებთან ერთად ვაფრთხილებდით საქართველოს ხელისუფლებას, განსაკუთრებული სიფრთხილე გამოგვეჩინა. სამწუხაროდ, მაშინ ჩვენ ეს ვერ მოვახერხეთ. თუმცა, მცდელობებს ადგილი ნამდვილად ჰქონდა, — განაცხადა გიორგი თარგამაძემ,

მედვედევის აღირებითი ჩვენებით გამოწვეული იდილია მოუსვენარმა ჯონდი ბაღათურიამ დაარღვია, რომელმაც თავიდან სპიკერს მოსდო შარი. ამტკიცებდა, სიტყვა მაშინ არ მომეცი, როცა მეკუთვნოდაო.

რიგის დარღვევა იმით ახსნა, რომ ხელისუფლებას უმცირესობა-უმრავლესობას შორის დებატების რიხიანად წარმოჩენა სურდა. ბაღათურია და მათი ფრაქცია, საპარლამენტო უმრავლესობის მსგავსად, არც უმცირესობას სწყალობს.

ამასთან დეპუტატმა გაკვირვება გამოხატა ნუგზარ წიკლაურის აღფრთოვანების მიმართ.

— მე გაკვირვებული ვარ იმ აღფრთოვანებით, რომელიც ნუგზარ წიკალურმა გამოხატა. ომი რუსეთმა რომ დაიწყო, ეს ყველამ ვიცოდით, თქვენ ეს თუ ახლა გაიგეთ, ეს თქვენი პრობლემაა. დიდი ზეიმი გაქვთ იმის გამო, რომ ევროპარლამენტმა აღიარა საქართველო ევროპული ქვეყანააო. ბიჭო, ისრაელი ევროპასთან ახლოსაც არ არის, მაგრამ ეჭვი ეპარება ვინმეს, რომ ის დასავლური ქვეყანაა. თქვენ თუ გინდათ დემოკრატიული და დასავლური ქვეყანა ვიყოთ, აქ დემოკრატიული ინსტიტუტები უნდა შევქმნათ და არა უმრავლესობა-უმცირესობის დაპირისპირებაზე სპექტაკლები დავდგათ, — განაცხადა ბაღათურიამ.

მან აქოთქოთებული ნაციონალები დამოძღვრა, თუ რა უნდა გააკეთონ იმისათვის, რომ საქართველო დემოკრატიული ქვეყანა იყოს.

დასავლურ ღირებულებებზე ორიენტირებულმა ბაღათურიამ გვერდი ვერ აუარა იმ ძეგლებს, რომლებიც ახლა იდგმება.

— ქართულ ხელოვნებასა და პოლიტიკაში ერთდროულად დამკვიდრდა მიმდინარეობა, რომელსაც მე პირობითად გიგანტიზმი დავარქვი. ეს ყველაფერი ბათუმში გიგანტური დედაენის ძეგლის მშენებლობით დაიწო, რომელიც 26 მილიონი ჯდება. ეს იმ დროს, როცა ბავშვებს წიგნები არა აქვთ. შემდეგ ეს გაგრძელდა გიგანტური ფეირვერკებით და გიგანტური ხაჭაპურების ცხობით. ხალხს შია და თქვენ მათ აყურებინებდით, როგორ ჭამდით. შემდეგ ეს გიგანტური კვერცხებით და შლოპანცით გაგრძელდა. ახლა ამას გიგანტური ველოსიპედით აგრძელებთ, ამ ძეგლს იქ დგამთ, სადაც აქამდე დავით აღმაშენებლის ძეგლი იდგა, — განაცხადა აღშფოთებულმა ბაღათურიამ.

დაუგმო რა ხელისუფლებას გიგანტიზმი, დეპუტატმა დროებით ზღაპრულ სამყაროში გაისეირნა. მან ერსა და კოლეგებს ლურჯი მელიის ამბავი მოუყვა. ხელისუფლება თავად ამ მელიას შეადარა და ვარაუდი გამოთქვა, რომ ხელისუფლებასაც იგივე ბედი ელის, რაც იმ მელაკუდას.

ბაღათურიას მელიამ ნაციონალებზე მეტად ქძმ ალაშფოთა. ისინი ისე გაბრაზდნენ, რომ მაგდა ანიკაშვილს იქეთ გადაუტანეს სიტყვა. ბაღათურიას მელიის ჩასახშობად კი ლევან ვეფხვაძე გამოიყენეს, რომელიც მართლა ვეფხვივით ეკვეთა კოლეგას და წარსული გაახსენა.

მან დეპუტატის ქმედებას ჯამბაზობა უწოდა და სამულტფილმო ცოდნა დაუწუნა. ვეფხვაძემ ის დროც გაიხსენა, როცა მისი თქმით, ბაღათურია უმცირესობის კარს ამტვრევდა.

— ჩვენ უნდა შემოგვეშვა ბაღათურია უმცირესობაში. იქნება თამაზ კვაჭანტირაძისგან ესწავლა, რომ ეს მულტფილმი კი არა, იგავ-არაკია. ლურჯ მელიაზე იგავ-არაკი სულხან-საბა ორბელიანმა დაწერა, — განაცხადა ვეფხვაძემ.

მან კოლეგის ქმედება ასევე მულტფილმურად შეაფასა. მას ბაღათურიამ „ყურშა გაყოყოჩდა“ გაახსენა. თუმცა მანაც დაუშვა შეცდომა და ყურშა გაყოყოჩდას ნაცვლად ყურშა გაყეყეჩდა თქვა.

## მთავრობის სხდომები ქუთაისშიც გაიმართება



მიხეილ სააკაშვილი

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა მთავრობის წევრებს დავალება მისცა, რომ ყოველი მესამე ან მეოთხე მთავრობის სხდომა ქუთაისში გაიმართოს.

ქუთაისში, ახლად გახსნილ მთავრობის სახლში გუშინ გამართულ მთავრობის სხდომაზე საქართველოს პრეზიდენტმა ქუთაისის ისტორიულ და პოლიტიკურ მნიშვნელობაზე ისაუბრა.

მიხეილ სააკაშვილმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ 26 მაისიდან პარლამენტი ქუთაისში გადავა.

ინტერპრესნიუსი

## დემოკრატიული მოძრაობა“ ამომრჩეველთა სიის გადამოწმების მიზნით ალტერნატიული ცენტრის ჩამოყალიბებას ითხოვს

„დემოკრატიული მოძრაობა“ ამომრჩეველთა სიის გადამოწმების მიზნით ახლახან შექმნილი კომისიის ალტერნატიული ცენტრის ჩამოყალიბების ინიციატივით გამოდის.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ პარტიის ლიდერმა ნინო ბურჯანაძემ განუცხადა, ახალი კომისია იმ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებით უნდა დაკომპლექტდეს, რომლებიც ხელისუფლებასთან თანამშრომლობაში არ არიან შემჩნეულნი.

+ ბუნებრივია, ხელისუფლების მიერ შექმნილი კომისიის მიმართ უნდობლობა არსებობს. ვფიქრობთ, უნდა შეიქმნას ალტერნატიული ცენტრი ან კომისია. ის იმ დამოუკიდებელი, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებით დაკომპლექტდება, რომლებიც ხელისუფლებასთან თანამშრომლობაში არ არიან შემჩნეულნი და საზოგადოებისა და პოლიტიკური პარტიების უმრავლესობის მხრიდან მაღალი ნდობა აქვთ. მნიშვნელოვანი იქნება ამ პროცესში საერთაშორისო დონორებისა და ორგანიზაციების ჩართვაც, — აღნიშნა ნინო ბურჯანაძემ.

მისივე თქმით, აღნიშნული ინიციატივის არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის

შეთავაზებას პირადად არ აპირებს, თუმცა, მათი მხრიდან დაინტერესების იმედი აქვს. „რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელთან მქონდა საუბარი, მაგრამ, ბუნებრივია, ჩემი მხრიდან პირდაპირი შეთავაზება ვერ გაკეთდება. ეს არის ინიციატივა, რომლითაც „დემოკრატიული მოძრაობა“ გამოდის და მას არასამთავრობო სექტორს სთავაზობს.

— სიების გადამოწმება არ არის ჩვენი საქმე. ამას პოლიტიკური პარტია ორი მიზეზის გამო ვერ გააკეთებს: ჯერ ერთი იმიტომ, რომ ფინანსური რესურსი არ გააჩნია და მეორეც – რაც არ უნდა ობიექტურად ჩაატაროს საჭირო პროცედურა რომელიმე პარტიამ, მის სანდოობასთან დაკავშირებით კითხვის ნიშნები მაინც გაჩნდება, რადგან პოლიტიკური პარტია საარჩევნო პროცესის სუბიექტია, — აღნიშნა „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერმა.

რაც შეეხება უშუალოდ ხელისუფლებისა და ოპოზიციური პარტიების ნაწილის ინიციატივით შექმნილ, ამომრჩეველთა ერთიანი სიის გადამოწმების უზრუნველყოფის კომისიას, ბურჯანაძე მას უნდობლობას კიდევ ერთხელ უცხადებს და ამბობს, რომ „ხელისუფლებისთვის თავისუფალი არჩევნების ჩატარება სასიკვდილო საფრთხეს შეიცავს“.

მმართველი გუნდისა და ოპოზიციის ნაწილის ინიციატივით ამომრჩეველთა ერთიანი სიის გადამოწმების უზრუნველყოფის კომისია ცოტა ხნის წინ შეიქმნა. კომისიას მამუკა კაციტაძე ხელმძღვანელობს.

ინტერპრესნიუსი

## გიგი უგულავა სახელოვნებო სკოლების აღსაზრდელებსა და პედაგოგებს შეხვდა

თბილისის მერი გიგი უგულავა სახელოვნებო სკოლების აღსაზრდელებსა და პედაგოგებს შეხვდა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ თბილისის მერიიდან აცნობეს, თბილისის მერმა სახელოვნებო სკოლების აღსაზრდელებსა და პედაგოგებს მერიის მიერ განხორციელებული და მიმდინარე პროექტები გააცნო და გეოპოლიტიკური კვლევების საერთაშორისო ცენტრის მიერ გამოცემული წიგნის – „ჩემი უფლებები და მოვალეობები“, შესახებ ესაუბრა.

წიგნი 14-18 წლამდე ასაკის სკოლის მოსწავლეებისთვის არის განკუთვნილი და მოზარდების უფლებებისა და მოვალეობების შესახებ ცნობიერების ამაღლებას ემსახურება. წიგნში საქართველოს კანონმდებლობაზე დაყრდნობით და პრაქტიკული მაგალითების თანხლებით გადმოცემულია, თუ რა უფლებები და მოვალეობები წარმოექმნებათ მოზარდებს გარკვეული ასაკის მიღწევისას; როგორ იცავს კანონი მათ უფლებებს ხელყოფისაგან და როგორია მათი პასუხისმგებლობა სამართლადარღვევების დროს.

თბილისში სულ 34 სახელოვნებო სკოლაა. სპეციალური პროგრამის ფარგლებში, მიმდინარე სასწავლო წელს 680 ნიჭიერი ბავშვი და 405 პედაგოგი ფინანსდება. თითოეული ბავშვი და მისი პედაგოგი ყოველთვიურად 40 ლარის ოდენობის სტიპენდიას იღებს. ასევე, ხელოვნების სკოლების პედაგოგებისთვის მოქმედებს სახელმწიფო დაზღვევის პროგრამა და ისინი საზოგადოებრივ ტრანსპორტში უფასოდ მგზავრობენ.

სახელოვნებო სკოლებში ჩატარდა კაპიტალური რემონტი, მოხდა მათი გაზიფიცირება და თითოეული სკოლა საჭირო ინვენტარითა და ტექნიკით აღიჭურვა.

ინტერპრესნიუსი

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ზაზა ხატიაშვილი: ხელისუფლებამ ადვოკატების დევნის ახალი ტალღა დაიწყო

შორენა კოწოწაშვილი

ადვოკატთა ასოციაციის ხელმძღვანელი ზაზა ხატიაშვილი ხელისუფლებას და პირადად პრეზიდენტ სააკაშვილს, ვანო მერაბიშვილს, ზურაბ ადეიშვილს და კოტე კუბლაშვილს ადვოკატთა ინსტიტუციონალურ დევნაში კიდევ ერთხელ ამხელს და იმ საგანგაშო ინფორმაციას ახმაურებს, რომელიც ხელისუფლების მხრიდან ადვოკატთან მიმართებაში დაფიქსირდა.

ზაზა ხატიაშვილის თქმით, ხელისუფლებამ ადვოკატების დევნის ახალი ტალღა წამოიწყო და ადვოკატებს არა მხოლოდ პრობლემების შექმნით და ოჯახის წევრებზე ანგარიშსწორებით ემუქრებიან, არამედ უკვე დაფიქსირდა ფაქტი, რომ ქალი ადვოკატი პროკურატურაში დაიბარეს და გაუპატიურებით დაემუქრნენ, თუ ის ადვოკატთა ასოციაციის ხელმძღვანელის – ხატიაშვილის წინააღმდეგ ჩვენებას არ მისცემდა.




აღსანიშნავია, რომ ადვოკატთა კორპუსის წინააღმდეგ დევნა ამ ხელისუფლების მოსვლის დღიდან დაიწყო და უკვე 100-ზე მეტი ადვოკატია სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული სხვადასხვა ბრალდებით. ხატიაშვილის თქმით, ლუკაშენკოს რეჟიმზე რომ ბევრს ლაპარაკობენ და დიქტატორს უწოდებენ, მას 4 ადვოკატი ჰყავს დაპატიმრებული. თუ ლუკაშენკო ბოლო დიქტატორია, ხატიაშვილს აინტერესებს, მიხეილ სააკაშვილი ვინ გამოდის?!

– საზოგადოებამ კარგად იცის, რომ ევროპის პარლამენტმა მიიღო დადგენილება საქართველოსთან მიმართებაში, ვინც ამ დოკუმენტის განხილვაში მიიღო მონაწილეობა, დამეთანხმება, რომ ქართველ ადვოკატთა დევნის საკითხი იყო ერთ-ერთი ძირითადი თემა. ეს იყო გარღვევა. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ იმ დონეზე იბრძოლა, რომ ჩვენ შევძელით ქართველი ადვოკატების დევნის ფაქტების გატანა ევროპარლამენტის დონეზე. თქვენ კარგად იცით, რომ სექტემბერში თბილისში იმყოფებოდა ევროპის ადვოკატთა ასოციაციისა და სამართლის საბჭოს დელეგაცია, რომელმაც ეს ოფისი გახსნა. დელეგაციას შეხვედრები ჰქონდა იუსტიციის სამინისტროსთან. ამის გამო გამგელებული და გამხეცებული საქართველოს ხელისუფლება გაათმაგებული ენერგიით ცდილობს, ადვოკატთა კორპუსის ინსტიტუციონალური დევნის ახალი ტალღის აგორებას. მოიგონეს ახალი სიბინძურე და დაიწყეს ინფორმაციების შეგროვება ადვოკატებზე. თან ადვოკატებს პირდებიან გასამრჯელოს, თუ ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარეზე მისცემენ ინფორმაციას. ასეთი ფაქტების შესახებ ინფორმაციები მომდიოდა. რამდენიმე ადვოკატმა მითხრა, თუმცა ამის წერილობით დაფიქსირებას ვერავინ ვერ ბედავდა, – განაცხადა ზაზა ხატიაშვილმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე, რომელზეც იმ პროკურორის ვინაობაც დაასახელა, რომელიც ადვოკატ ქალს ხატიაშვილის წინააღმდეგ ჩვენების მიცემას აიძულებდა და გაუპატიურებით ემუქრებოდა.

– ადვოკატთა ასოციაციის წევრი ლალი ჯიმშერაშვილი მიმდინარე წლის 21 ოქტომბერს, ანუ ევროპის ადვოკატთა ასოციაციის წარმომადგენელთა თბილისში ვიზიტის შემდეგ, აყავს პოლიციის სამმართველოში ირაკლი ბრეგვაძეს, აწარმოებს მისი მოწმის სტატუსით დაკითხვას და ადვოკატს გაუპატიურებით, ოჯახის განადგურებით ემუქრება. შემდეგ ადვოკატ ლალი ჯიმშერაშვილს იბარებს და ეუბნება, ის მიიღებს გასამრჯელოს თუ ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარეზე ინფორმაციას მისცემს. მინდა მივმართო სააკაშვილს, მერაბიშვილს, ადეიშვილს და კუბლაშვილს: უბრალო პროკურორი ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარეზე ამას ვერ გაბედავდა. ეს, ეტყობა, ძალიან ზემოთ დაიგეგმა, მაგრამ ამ ხელისუფლებას ესეც არ გამოუვიდა. ვერც ერთი ადვიკატი ვერ ნახეს, ვინც ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარეზე ბინძურ და ცილისმწამებლურ ინფორმაციას, ჩვენებას მისცემდა. ყველაზე მთავარი ის არის, რომ მე უკვე ორი წელია აკრძალული მაქვს საადვოკატო საქმიანობა. არ ვაწარმოებ არც ერთ საქმეს. ორი წლის განმავლობაში რომელი ადვოკატი უნდა იპოვონ, რომელიც იტყვის, რომ მე ვიღაცას რაღაცას შევპირდი და არ გავუკეთე, – განაცხადა ზაზა ხატიაშვილმა. მისი თქმით, ამ ხელისუფლების ფსიქიკური დეგრადირება ძალიან შორს წავიდა და ახალ-ახალი ბინძური ნაბიჯები ხელისუფლების მხრიდან გამორიცხული არ არის.

პრესკონფერენციაზე ადვოკატთა ასოციაციის ხელმძღვანელმა პრესის წარმომადგენლებს ადვოკატ ლალი ჯიმშერაშვილის განცხადება გააცნო, რომლითაც ადვოკატმა ხატიაშვილს მის მიმართ დაფიქსირებული ფაქტი უამბო და ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეჩერება სთხოვა.

ლალი ჯიმშერაშვილი – ნაწყვეტი განცხადებიდან:

– 21 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე, სატელეფონო საუბრით გამომძიებელ ირაკლი ბრეგვაძის მიერ გამოძახებული ვიყავი მოწმის სახით თბილისის სამმართველოში, მე-9 სართულზე, სადაც მივედი 8 საათზე. დაკითხვა რამდენიმე წუთი მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში. მშვიდი დარემო თანდათან გადაიზარდა მკაცრი ტონით ლაპარაკში და მუქარაში. მე ცოტა შევშინდი, რადგან ამას არ ველოდი. ჩემი უარის შემდეგ, რომ მე არ ვიცნობდი აღნიშნულ პირებს, დამისახელეს სხვა პიროვნებები, რომლებსაც ასევე არ ვიცნობდი. ამის შემდეგ მათ დამტოვეს ამ ცივ ოთახში მარტო დაახლოებით 2 საათი. შემდეგ გამოვიდა გამომძიებელი და დამიწყო მუქარა, რომ თუ მე არ დავწერდი ყველაფერს და არ დავეთანხმებოდი მათ ბრალდებებს, ჩემს ქმარ-შვილს არ გაახარებდნენ. მეუბნებოდნენ, რომ უარს არავითარი აზრი არ ჰქონდა, რადგან ყველა, ვინც კი საქმეში დაკითხული იყო, ყველა მე მადებბდა ხელს და დამემუქრნენ დაუპატიურებით და შვილებზე ძალის გამოყენებით. მითხრეს, რომ ჩემს მეუღლეს ფილტვის ოპერაცია ჰქონდა გაკეთებული, მას კამერაში ჩააგდებდნენ და დიდხანს არ იცოცხლებდა. ვერ გავუძელი ყოველივე ამას და უკვე ღამის 1 საათზე ხელი მოვაწერე მათ მიერ აკრეფილ დაკითხვის ოქმს. ტექსტში რა ეწერა, არ წამოკითხავს. მხოლოდ ის მითხრეს, რომ ეს იყო ის სიმართლე, რაც მათ საქმისთვის სჭირდებოდათ. დაკითხვის ოქმს არავინ ნახავდა, მხოლოდ „უფროსს“ და მას მიუწვდებოდა ამ ოქმზე ხელი. შემდეგ მან დამიდო ამ ფურცელზე ხელი და მისი კარნახით დამაწერინა ხელწერილი, რომ მე მათთან ვითანამშრომლებდი და არ მექნებოდა უფლება, სხვისთვის მეთქვა ჩემ მიერ მოპოვებული ინფორმაცია ადვოკატებზე. ჩამაწერინეს, რომ ჩემი ნომერი იქნებოდა 0170, ხოლო მეტსახელს თვითონ ჩაწერდნენ. როცა დაკითხვის ოქმს ხელი მოვაწერე, შემოვიდა პროკურორი, ვინმე ვახტანგი და მითხრა, რომ ახლა გამიშვებდა და უნდა მომეფიქრებინა, ვინ ჩამეშვა. ამიტომ მელოდებოდა ორშაბათს და მე უნდა დამერეკა გამომძიებლისთვის. გამომძიებელმა პირველ სართულამდე ჩამომაცილა და გამაფრთხილა, არავის არ უნდა სცოდნოდა, მით უმეტეს, ჩემი ოჯახის წევრებს, რომ მე მათთან ვიყავი... ორშაბათს პროკურორმა ვახტანგმა მითხრა, რომ ჩამეშვა ჩვენი ასოციაციის უფროსი ზაზა ხატიაშვილი. მას ბევრი ცოდვები ექნებოდა, რომლებიც ადვოკატებს ეცოდინებოდათ. ყოველ დაჭერილ ადვოკატზე მე გადამიხდიდნენ გარკვეულ გასამრჯელოს. როცა მათ ჩემი უარი მიიღეს, ისევ იმ ცივ ოთახში დამსვეს, რომელშიც ვიჯექი კიდევ ორი საათი და დიდი ხმით ვტიროდი. რამდენიმე ხანში შემოვიდა გამომძიებელი ირაკლი ბრეგვაძე და მკითხა, ვიცნობდი თუ არა ვინმე ლია ლალიაშვილს. ვუთხარი, რომ ვიცნობდი. ის ქალი ადრე სობესში მუშაობდა. რადგან შენს ქმარს ფილტვის ოპერაცია აქვს გაკეთებული, ამიტომ შენ გამოგვადგებიო. წადი, მე მოგცემ მის ტელეფონს და დაურეკეო. შემომოტანა ფურცელზე ამობეჭდილი ლალიაშვილის ტელეფონის ნომერი და მითხრა, დამერეკა და შეხვედრა დამენიშნა. დავურეკე და ლიამ მოთხრა, რომ დამირეკავდა. გამომძიებელმა მითხრა, ეს ქალი რომ დაგირეკავს, შესთავაზებ ფულს და ეტყვი, რომ გაგიკეთოს ავადმყოფი ქმრისთვის პოლისი. თუ დაგთანხმდა, დაგვირეკავ და გვეტყვი, რომ საინტერესოა, თუ არა და არაო. მე ტირილით წამოვედი სახლში. მეორე დღეს ლიამ დამირეკა და მითხრა, რომ არაფერი შეეძლო და ეს გამომძიებელს მოვახსენე, რომ საინტერესო არ იყო... 5 დღეა მობილური გამორთული მაქვს, არ ვიცი სად დამიბარებენ და რას დამავალებენ. არ მინდა გათენდეს. გთხოვთ დამეხმაროთ. თუ ასე გაგრძელდა, თავს არ ვიცოცხლებ. მეცოდებიან ჩემი შვილები, რომ ობლად დარჩებიან. მათ ხომ ჩემს მეტი არავინ ჰყავთ. ერთადერთი მარჩენალი მე ვარ. ჩემი ავადმყოფი ქმარი მათ ვერ დაეხმარება.

ზემოთ აღნიშნული განცხადება, ხატიაშვილმა ჟურნალისტებს გააცნო და აღნიშნა, რომ პრესკონფერენციის ჩატარება მხოლოდ მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც გაიგო, რომ ადვოკატმა ლალი ჯიმშელაშვილმა საქართველოს ტერიტორია უკვე დატოვა და ქვეყნიდან დაახლოებით ერთი კვირის წინ გაიქცა.

ხატიაშვილს ღიმილს ჰგვრის ის ფაქტი, რომ მას, როგორც ადვოკატს, თურმე ბევრი ცოდვა ექნება ჩადენილი და ეს მერაბიშვილმა და ადეიშვილმა არ იციან. არადა, ზურაბ ადეიშვილი ხატიაშვილის ჯგუფელია და მას არ უნდა გასჭირვებოდა „ცოდვების“ შემთხვევაში ხატიაშვილის გამოჭერა.

## ილია II დღეს მოსკოვის წმ. გიორგის სახელობის ქართულ ტაძარში წირვას აღავლენს



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II გიორგობის დღესასწაულთან დაკავშირებით საღვთო ლიტურგიას მოსკოვის წმ. გიორგის სახელობის ქართულ ტაძარში ჩაატარებს.

ილია II ქართული დიასპორის წარმომადგენლებს შეხვდება.

საქართველოს პატრიარქი მოსკოვში 18 ნოემბერს გაემგზავრა, სადაც უკვე მიიღო მონაწილეობა მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის კირილის დაბადების 65 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში და მასთან ერთად აღავლინა წირვა მოსკოვის მაცხოვრის სახელობის ტაძარში. პატრიარქი სხვა ქვეყნების პატრიარქებთან ერთად რუსეთის პრეზიდენტ დიმიტრი მედვედევსაც შეხვდა.

საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა სრულიად რუსეთის პატრიარქს კვერთხი უსახსოვრა.

ილია მეორე საქართველოში 24 ნოემბერს დაბრუნდება.

მედიანიუსი

## ხელისუფლებამ „ქართული ოცნების“ ოფისი ალყაში მოაქცია

### ივანიშვილის მოძრაობის პრეზენტაციის ახალი თარიღი უცნობია

შალვა ჯოხაძე

ხელისუფლება ბიძინა ივანიშვილის საზოგადოებრივი მოძრაობის, „ქართული ოცნების“ დაფუძნებას ყველა არსებული თუ არარსებული ხერხით ებრძვის. მისი პრეზენტაცია 25 ნოემბრისთვის იყო დაგეგმილი, თუმცა, რადგანაც შესაბამისი შენობის დაქირავებას ვერ ახერხებენ, ღონისძიება გადადეს. ახლა ირკვევა, რომ „ქართული ოცნება“ ოფისის გარეშეც რჩება. ყველა შენობა, რომელშიც ბიძინა ივანიშვილი მის განთავსებას გადაწყვეტს, მაშინვე თავდასხმის ობიექტი ხდება.

ამჯერად, ბიძინა ივანიშვილს მისი კუთვნილი შენობით, ე.წ. ჟურნალისტთა სახლით სარგებლობაში უშლიან ხელს.

ადვოკატ არჩილ კბილაშვილის თქმით, მას შემდეგ, რაც „ქართუ ჯგუფს“ როსტომ მეფის სასახლით სარგებლობაში შეეშალა ხელი, გადაწყდა, რომ საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნება“ ამ სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ ე.წ. ჟურნალისტთა სახლში განთავსებულიყო, რომელიც ასევე ბიძინა ივანიშვილის საკუთრებაა.

– მთლიანად ერეკლე მეორეს მოედნის შემოღობვა დაიწყეს, სადაც ჟურნალისტთა სახლია განთავსებული. როგორც მუშებმა განგვიმარტეს, ისინი მერიის კეთილმოწყობის სამსახურის მიერ იყვნენ დაქირავებულები. ჩვენ მერიას განცხადებით მივმართეთ, რომ შემოღობვის პარალელურად მოქალაქეებისთვის საფეხმავლო დერეფანი გაკეთებულიყო, რათა მათ შენობაში შესვლის დროს პრობლემები არ შეჰქმნოდათ, მაგრამ, რატომღაც, ბრიგადებმა ღობეს ჭიშკარი გაუკეთეს და განმარტეს, რომ მუშის გარდა, შენობაში შესვლა ყველას ეკრძალება. ისეთი სიტუაცია შეიქმნა, რომ კანონიერ მფლობელს მის საკუთრებაში არსებულ შენობაში შესვლის საშუალება არ აქვს, – ამბობს კბილაშვილი.

ადვოკატი სარეაბილიტაციო სამუშაოების მიზეზით ტერიტორიის შემოღობვას გამოგონილს უწოდებს და მიიჩნევს, რომ ამ ყველაფრის რეალური მიზანი ბიძინა ივანიშვილის საზოგადოებრივი მოძრაობის შექმნის პერსპექტივის აღკვეთაა.




სარეაბილიტაციო სამუშაოების პერიმეტრზე დროებითი გზის გაკეთების მოთხოვნით ადვოკატმა დედაქალაქის მერიას და შესაბამის უწყებებს უკვე მიმართა.

– თუ ჩვენი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება, მეორე გზა სასამართლოში ჩივილი იქნება, – განაცხადა კბილაშვილმა.

ბიძინა ივანიშვილის პრესსამსახურში ამბობენ, რომ საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნების“ პრეზენტაცია, რომელიც 25 ნოემბრისთვის იყო დაგეგმილი, ხელოვნურად შექმნილი წინააღმდეგობების გამო გადაიდო.

– გვინდა, საზოგადოებამ იცოდეს, რომ 3 ნოემბრიდან მოყოლებული დღემდე, ბიძინა ივანიშვილის წარმომადგენლები მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ სპორტის სასახლისა და მიხეილ მესხის სახელობის სტადიონის ადმინისტრაციასთან, რათა ყველა მსურველს ჰქონოდა „ქართული ოცნების“ პრეზენტაციაზე დასწრების საშუალება. მოლაპარაკებების პროცესში მუდმივად გვთავაზობდნენ ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზს, მაგრამ შემდგომში გაირკვა, რომ 25 ნოემბერს შენობის ნაწილი, ე.წ. ივენთ-ჰოლი სხვა ღონისძიებით იყო დაკავებული. ამ ფაქტის გადამოწმება სატელეფონო ზარით ვცადეთ და აღმოჩნდა, რომ ის სიმართლეს შეესაბამებოდა. ისედაც შეზღუდული სივრცის ფართის ნაწილში პრეზენტაციის გამართვა შეუძლებელი გახდებოდა და საზოგადოების უკმაყოფილებას გამოიწვევდა. კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ 3 ნოემბრიდან დღემდე მიმდინარეობს მოლაპარაკება სპორტის სასახლის ადმინისტრაციასთან. ჩვენ ვითხოვდით დარბაზის გამოყოფას ნებისმიერ დღეს 25 ნოემბრიდან 10 დეკემბრის ჩათვლით. მივიღეთ სიტყვიერი უარი, მიზეზად კი უკვე ჩანიშნული ღონისძიებები დასახელდა. სპორტის სასახლის ხელმძღვანელობამ განგვიცხადა, რომ დარბაზი 1 იანვრამდეა დაკავებული, თუმცა არ დაუკონკრეტებია, თუ რომელი წლის 1 იანვრამდე. ამის შემდეგ ბიძინა ივანიშვილის წარმომადგენლები იძულებული გახდნენ, მოლაპარაკების ოფიციალურ ფორმაზე გადასულიყვნენ, გაიგზავნა წერილი სპორტის სასახლის ადმინისტრაციის სახელზე. პასუხი ამ დრომდე არ მიგვილია. ეს არ არის პირველი შემთხვევა საორგანიზაციო საკითხებთან დაკავშირებით მოლაპარაკებების გაჭიანურებისა. ანალოგიური სიტუაცია შეიქმნა ბიძინა ივანიშვილის პირველი პრესკონფერენციის პირდაპირ ეთერში ტრანსლირების საკითხის გადაწყვეტის დროს. აშკარაა, რომ გადაწყვეტილებების მიღების სქემა ერთი და იგივეა და ამ სქემაზეა მორგებული სპორტის სასახლის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებაც. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 25 ნოემბრისთვის დაგეგმილი საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნების“ პრეზენტაცია დროებით გადაიდო, – აცხადებენ ბიძინა ივანიშვილის პრესსამდივნოში და დასძენენ, რომ პრეზენტაციის კონკრეტული თარიღი უახლოეს დღეებში გახდება ცნობილი.

# ჯემალ გამახარია: „აფხაზეთის პრობლემის მოსაგვარებლად ნებისმიერი გზა მისაღებია“

შორენა გონგლაძე

არც ისე იშვიათია შემთხვევები, როდესაც პოლიტიკური კრიზისი სახალხო დიპლომატიის გზით გვარდება, ოღონდაც მთავარი პირობა უნდა იყოს სამართლიანობა, კორექტულობა და მიუკერძოებლობა. სხვა შემთხვევაში იგი ვერ იმუშავებს, მაგრამ თუკი სახალხო დიპლომატია კორექტულობასა და მიუკერძოებლობას გასცდება და ცილისწამებაზე გადავა, იგი არათუ პრობლემის მომგვარებელ, პირიქით, შუღლის გამღვივებელ ფუნქციებს იღებს თავის თავზე.

ასეთ მდგომარეობაში აღმოჩნდა თბილისში მოქმედი ადამიანის უფლებათა ცენტრის ინიციატივით 2007 წელს დაარსებული კამპანია „ბოდიში“, რომლის მთავარი მიზანი, როგორც „კამპანიაში“ აცხადებენ, ყოფილა ქართველ და აფხაზ ხალხს შორის ნდობის აღდგენა ქართველთა მხრიდან ბოდიშის მოხდის გზით. პარადოქსული აქ ისაა, რომ ამ კამპანიამ თავად ქართველებში დაკარგა ნდობა, არც აფხაზებმა იღეს ყურად მისი ლაღადი. მიუხედავად ყველაფრისა, თავიანთ ინტერნეტგამოცემებში ამ კამპანიის წევრები თვითონვე იხდიან ბოდიშს, რახან სხვები ვერ დაითანხმეს ამ „ჰუმანურ“ აქციაზე.

ჩვენთვის ცნობილია აფხაზეთის საზოგადოების ნეგატიური დამოკიდებულება ამ „კამპანიის“ ინიციატივის მიმართ. ამაზე მეტყველებს აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ჯემალ გამახარიას ინტერვიუ.

***— ბატონო ჯემალ, რამდენად შესაძლებელია ქართულ-აფხაზური ნდობის აღდგენა ცალმხრივად ბოდიშის მოხდის გზით?***

— ურთიერთობების აღსადგენად და, საერთოდ, აფხაზეთის პრობლემის მოსაგვარებლად ნებისმიერი გზა მისაღებია, მაგრამ რაც შეეხება ბოდიშს, ძალიან არასერიოზულად მიმაჩნია. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ აფხაზეთის კონფლიქტის ანატომიას ძალიან კარგად უნდა იცნობდე, და მეორეც, ძალიან კარგად უნდა იცოდე თვით აფხაზების ფსიქოლოგია, რომელთაც, დარწმუნებული ვარ, სასაცილოდ ეჩვენებათ მთელი ეს კამპანია და მხოლოდ უარყოფით დამოკიდებულებას იწვევს ქართველების მიმართ..

***— ამ „კამპანიის“ ორგანიზატორები აცხადებენ, რომ კარგად იცნობენ და მჭიდრო კავშირი აქვთ აფხაზ ხალხთან.***

— მე კარგად არ ვიცნობ ამ ადამიანებს, მაგრამ რამდენადაც ვიცი, მათ არა აქვთ კავშირი აფხაზებთან. ცალმხრივად ბოდიშის მოხდა და გნებავთ, დაჩოქება უფრო მეტ სიძულვილს გამოიწვევს ქართველებისადმი (მონა ყოველთვის საზიზღარია!). იმავდროულად ყოველივე ამას ძალიან კარგად გამოიყენებენ პროპაგანდისტული თვალსაზრისით, რათა მსოფლიოს წინაშე გაამართლონ ქართველების წინააღმდეგ განხორციელებული ეთნოწმენდა. სეპარატისტები იტყვიან, აი, ხედავთ, თავად ქართველები იხდიან ბოდიშს, რადგანაც დამნაშავედ აღიარებენ თავს, საერთაშორისო ორგანიზაციები კი რას გვერჩიან?... და ა.შ.

***— „კამპანია“ ქართულ მხარეს საყვედურობს, რომ ადრეც და ომის შემდგომ პერიოდში ქართველებს არაფერი გაგვიკეთებია იმისთვის, რათა აფხაზეთი გამხდარიყო აფხაზური, რომ თითქოს ჩვენ ვუბიძგეთ მათ რუსული ორბიტისკენ.***

— ხაზგასმით ვამბობ, რომ თუ აფხაზი ერი დღემდე არსებობს და მას ძალიან დიდი ამბიციები გააჩნია, მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ აფხაზები საქართველოს შემადგენლობაში იყვნენ დიდი ხნის განმავლობაში. რომ არა საქართველო, ისინი იმ კავკასიელთა ბედს გაიზიარებდნენ, რომლებიც ფსოუდან ყუბანამდე იყვნენ დასახლებული და დღეს აღგვილნი არიან პირისაგან მიწისა. ქართველმა საზოგადოებამ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ აფხაზი ერი შენარჩუნებულიყო და მას ეცხოვრა აფხაზეთში. შეიძლება ითქვას, რომ გადაჭარბებითაც კი გაკეთდა ბევრი რამ. შესაძლოა, დღეს არ იყოს ეს სათანადოდ დაფასებული აფხაზთა მხრიდან, მაგრამ ჩვენ არ ვნანობთ. მოვა დრო და აფხაზები, განსხვავებით კამპანია „ბოდიშისგან“, მადლობას ეტყვიან ქართველებს.

***— ბატონო ჯემალ, რატომ მიეკედლენ აფხაზები მაინცდამაინც რუსეთს, რომელმაც წარსულში ფაქტიურად გენოციდი მოუწყო მათ?***

— ამ საკითხს სხვადასხვა მხრიდან უნდა შევხედოთ. სულაც არ ვთვლი, რომ ქართული მხარე ყველაფერში მართალი და შეუცდომელია. ჩვენი შეცდომები იყო უფრო ტაქტიკური და არა სტრატეგიული ხასიათის, მაგრამ იმ პოლიტიკამ, რომელიც ჯერ მეფის რუსეთის და შემდეგ საბჭოთა პერიოდში ტარდებოდა, თავისი შედეგი გამოიღო — მოხდა აფხაზთა ეროვნული ცნობიერების დეფორმირება. რუსეთმა აფხაზი ერი დამნაშავედ კი გამოაცხადა, მაგრამ იმავდროულად ახორციელებდა იმის პროპაგანდას, რომ აფხაზეთი არ არის საქართველო, ატარებდა აგიტაციებს, სკოლიდან დაწყებული, ეკლესიით დამთავრებული, აფხაზებს შთააგონებდნენ, რომ ქართველები ითვისებდნენ აფხაზების მიწებს და მკვიდრდებოდნენ მათ სამშობლოში. ასეთი „წარმატებული“ პროპაგანდის შემდეგ რუსეთის მიერ გამწარებულმა აფხაზებმა მთელი ეს საუკუნოვანი ანტირუსული ბოღმა ქართველებზე გადაიტანეს. რუსეთთან მიკედლება კიდევ ერთმა გარემოებამ განაპირობა: მიუხედავად იმისა, რომ აფხაზებს რუსები დიდად არ ეპიტნავებოდათ, თავის გადარჩენის საშუალებად დაისახეს რუსეთსა და



ჯემალ გამახაია

საქართველოს შორის ლავირება. თუ ქართველები მათ რამეს „დაუშავებდნენ“, რუსებისკენ გადაიხრებოდნენ, ან პირიქით. ასე რომ, აფხაზს ორივე მხარე ელოლიავებოდა და საბოლოოდ მან ძლიერის მხარე დაიჭირა. რუსულ-ქართულ დაპირისპირებაში აფხაზმა მონახა, ასე ვთქვათ, საკუთარი ნიშა, სადაც თავი შეინარჩუნა, განვითარდა კიდევაც და, განსხვავებით საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შემავალი სხვა ავტონომიური რესპუბლიკებისგან, ამ ორ დაპირისპირებულ მხარეს შორის ლავირებით მაღალ მწვერვალებს მიაღწია. დღეს მათ ლავირების საშუალება უკვე არა აქვთ, ამიტომ ძალიან მძიმე მდგომარეობაში არიან.

***— თუმცა ბოლო დროს აფხაზურ პოლიტიკაში გამოჩნდა მოსაზრება იმის შესახებ, რომ მათი ხსნა არის ევროკავშირი.***

— აფხაზებს სურთ ისევ ძველ პოლიტიკას — ლავირებას დაუბრუნდნენ. ოღონდ ამჯერად რუსეთსა და ევროპას შორის, მაგრამ ეს არის ილუზია, რომელიც მათ ძალიან მალე გაუქრებათ. ევროპა არასოდეს წავა აფხაზეთის აღიარებაზე. რუსეთის მიერ აფხაზეთის ცნობა არის არა მხოლოდ საქართველოს, არამედ ევროპის, ნატოს წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯი, რითაც მათი ღირსება შეილახა. მე დარწმუნებული ვარ, დასავლეთი თავისი გაწონასწორებული პოლიტიკით ნაბიჯ-ნაბიჯ მიზანს მიაღწევს ისევე, როგორც ეს მოახერხა საბჭოთა კავშირთან მიმართებაში.

***— ანუ საქართველოა აფხაზთა გადარჩენის საწინდარი და ისინი ამას ვერ ხვდებიან?***

— მიუხედავად დიდი მცდელობებისა, რუსეთმა ვერ მოახერხა აფხაზის სახით ქართველში მტრის ხატის შექმნა, პირიქით, ქართველი თანაუგრძნობს აფხაზს, მეგობრულ ხელს უწვდის, ცდილობს მოსახლეობისთვის მისაწვდომი გახადოს ყველა ის სარგებელი, რაც საქართველოს მოქალაქეებისთვის არის დღეს ხელმისაწვდომი.

***— თქვენ, ალბათ, გულისხმობთ სახელმწიფო სტრატეგიას ოკუპირებულ რეგიონებთან მიმართებაში, რომელსაც კრიტიკულად უყურებენ აფხაზეთში?***

— ოფიციალურად ასეა, მაგრამ სწორედ ამ სტრატეგიის წყალობით უკვე ასობით აფხაზმა იმკურნალა ქართულ სამედიცინო დაწესებულებაში. ბევრ მათგანს აქვს ქართული პასპორტი. ისინი თავისუფლად გადმოდიან ჩვენთან და ხვდებიან არა მტრულ, არამედ კეთილგანწყობილ ატმოსფეროში. დარწმუნებული ვარ, რომ მალე კიდევ უფრო მეტს ექნება ასეთი საშუალება და ამით ისინი მხოლოდ მოიგებენ.

***— ქართულ „შოვინიზმსა“ და „ფაშიზმზე“ რას გვეტყვით, ბატონო ჯემალ, რაშიც ბრალს გვდებენ ამ „კამპანიის“ მესვეურები.***

— საერთოდ, ტერმინი — ქართული შოვინიზმი არის სტალინის, ს.ორჯონიკიძისა და მისთანების გამოგონილი. არავის ქართველისთვის შოვინისტი არ უწოდებია, გარდა გადაგვარებული ქართველი ბოლშევიკებისა. შევარდნაძესაც აქვს მსგავსი გამოთქმა 70-იან წლებში, როცა დაიძაბა ურთიერთობა ქართველებსა და აფხაზებს შორის. არძინბამ შევარდნაძის შესაბამისი ციტატა იმის შესახებ, თუ როგორ შოვინისტურად ექცეოდა ქართველი აფხაზს, სსრკ უმაღლეს საბჭოს სესიაზე გამოსვლისას გამოიყენა. აფხაზები შესანიშნავად იყენებდნენ ქართველ ბოლშევიკთა „აღიარებებს“ შოვინიზმის თაობაზე, მოგვიანებით ამას მიაბეს ფაშიზმიც. ზოგადად ცნობილია, რომ თუ ადამიანის განადგურება გინდა, მას უნდა დააბრალო ის, რის წინააღმდეგაც მთელი არსებით იბრძოდა ცხოვრების მანძილზე. საქართველო თავისი მრავალათასწლოვანი ისტორიით ამტკიცებს, რომ არის ძალიან ტოლერანტული, შემწყნარებელი, მიმტევებელი და სხვა ერების მიმართ გადამეტებული ყურადღებისა და პატივისცემის მქონე ერი, ხშირად საკუთარი ინტერესების ხარჯზეც კი. ამ ერს აბრალებენ შოვინიზმსა და ფაშიზმს?

***-კამპანია „ბოდიში“ არ უჭერს მხარს აკადემიკოს მარიკა ლორთქიფანიძეს და იმ ისტორიკოსებს, რომლებიც ობიექტურად აშუქებენ აფხაზეთის ეთნოპოლიტიკურ ისტორიას. ანუ, წერენ იმაზე, ვინ როდის დასახლდა ამ ტერიტორიაზე. გამოდის, რომ ისტორია უნდა გავაყალბოთ?***

— ვინ როდის და როგორ მოვიდა, ამის შესახებ წერენ სეპარატისტები, რომელთა მტკიცებით ქართველები ამ ტერიტორიაზე არიან ბერიას და სტალინის ჩასახლებულები, მანამდე კი მათ თითქოს აქ არც უცხოვრიათ, რომ ეს არ არის ქართველთა მიწა; ამიტომაც გავასახლეთ, ანუ თავიანთ სახლებში დავაბრუნეთ და ა.შ. და ა.შ. აი, სწორედ ამან აიძულა ქართველი მეცნიერები ეთქვათ სიმართლე, რომელიც ივანე ჯავახიშვილზე, პავლე ინგოროყვაზე, მარიკა ლორთქიფანიძეზე და სხვებზე ადრე ჯერ კიდევ XVIII-XIX საუკუნეებში თქვეს ევროპელმა და რუსმა მკვლევარებმა. ისინი ერთხმად ამტკიცებდნენ, რომ აფხაზეთის ავტოქტონური მოსახლეობა ქართველები არიან, აფხაზები კი გვიან ჩამოსახლებულები. არავინ მათ ამის გამო არ ედავებოდა, შოვინისტებს არ უწოდებდა.

***— შეგიძლიათ დაასახელოთ რუსი მეცნიერები?***

— რუსული ისტორიოგრაფიის ფუძემდებელი ვ.ტატიშჩევი, ალ. დიაჩკოვ-ტარასოვი, და ა.შ. ეს უკანასკნელი აფხაზეთში გაიზარდა. რა თქმა უნდა, იმ პერიოდში საერთოდ არ იდგა საკითხი, ვინ სად და როდის დასახლდა, ისინი უბრალოდ წერდნენ ელემენტარულ სიმართლეს. როდესაც სეპარატიზმის პრობლემა გაჩნდა, ქალბატონ მარიკას და მის მიმდევრებს მოგვიხდა ამ საკითხის წამოწევა, ჩვენი ისტორიული უფლებების, ისტორიული სამართლიანობის, აფხაზეთში არსებული ქართული კულტურის ძეგლების დაცვა. ვადასტურებ, რომ აფხაზეთის ავტოქტონი მოსახლე გახლავთ ქართველები, რომლის ეთნოგენეზი მიმდინარეობდა ამ ტერიტორიაზე; სწორედ მათ შექმნეს ჩვენამდე მოღწეული უძველესი ცივილიზაცია, რითაც აფხაზებს ძალიან უნდათ იამაყონ. ცხადია, ამისთვის საჭიროა ქართული კვალის წაშლა, რასაც ლამობენ რუსი „ძმების“ მეშვეობით. მათ არ იკმარეს ილორის წმ.გიორგის ეკლესიის გადარუსულება და ახლა ბედიის ეკლესიის „რესტავრირებაც“ აქვთ განზრახული. მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ სეპარატისტებისგან განსხვავებით, ქართველებს არასოდეს განუცხადებიათ: რახან აფხაზები XVI-XVII საუკუნეებში მოვიდნენ აქ, ჩვენ მათ უფლებები უნდა შევუკვეცოთ ან გავასახლოთ და ა.შ. პირიქით, ისინი ამ ტერიტორიის სრულუფლებიანი მაცხოვრებლები არიან, ოღონდ ჩვენთან ერთად.

***— ბატონო ჯემალ, რამდენად ევალება ქართველ ადამიანს აფხაზური ენის ცოდნა? თურმე აფხაზის გული იმითაც ვერ მოგვიგია, რომ არ ვიცით აფხაზური?***

— ყველაზე უხეში გათვლებით დღევანდელი აფხაზი ერის 60% -ზე მეტი არცთუ ისე შორეულ წარსულში იყო ქართველი. მათ არათუ ისწავლეს აფხაზური, არამედ ცნობიერებაც კი შეიცვალეს და გახდნენ აფხაზები, რამაც აფხაზი ეთნოსი გადაშენებისგან იხსნა. ასე რომ, ენის ცოდნასთან დაკავშირებული პრეტენზიები არის აბსოლუტურად უსაფუძვლო და, პირიქით, უნდა იყოს იქითა მხარეს მიმართული. პირადად მე თუ არ ვიცი აფხაზური, ეს არის იმ პოლიტიკის შედეგი, რომელიც სსრკ-ში ტარდებოდა. რუსეთმა კარგად იცოდა, რომ ენების შესწავლა გამოიწვევდა ურთიერთდაახლოებას, დამეგობრებას, რაც, უეჭველია, არ შედიოდა დიდი იმპერიის ინტერესებში. აი, ეს იყო ნამდვილი მიზეზი აფხაზური ენის არცოდნის. მაგრამ ტრაგედია ის უფროა, რომ ქართველმა კი არა, ძალიან ბევრმა აფხაზმა არ იცის აფხაზური. სამწუხაროა ისიც, რომ არ არსებობს აფხაზი ქართველოლოგი, მაშინ, როცა არსებობს მრავალი გამოჩენილი ქართველი აფხაზოლოგი (მათ ბევრ ინტელიგენტ აფხაზზე უკეთესად იციან აფხაზური), თბილისში არსებობს აფხაზური ენის შემსწავლელი სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულებები. დღეს ზოგიერთ ქართულ სკოლასა თუ უმაღლეს სასწავლებელში ახალი თაობა აფხაზურს ეუფლება და სპეციალობადაც აქვს არჩეული ეს ენა.

***— ისევ „ბოდიშს“ დავუბრუნდეთ, მაინც***

გაგრძელება მე-6 გვერდზე

# „ატსტუპნიკები“ პარლამენტთან შიმშილობას იწყებენ

შორენა გონგლაძე

„დაგვიკანონეთ ჩვენი საკუთრება“, „იყავით ობიექტური და დაიცავით ატსტუპნიკების უფლებები“, „მოვითხოვთ ჩვენ მიერ ნაყიდი ბინების დაკანონებას“, „გირჩევთ კეთილგონივრული ნაბიჯის გადადგმას და ჩვენი ბინების დაკანონებას“ — ამ შინაარსის ტრანსპარანტებით გუშინ პარლამენტთან ე.წ. „ატსტუპნიკების“დაწყებული აქცია ისევ განახლდა.

აქციის მონაწილეები მათი საცხოვრებელი ბინების დაკანონების მოთხოვნით პარლამენტის თავმჯდომარესთან დავით ბაქრაძესთან შეხვედრას მოითხოვენ.

შეგახსენებთ, Pთბილისის მერიის ინიციატივით, საქართველოს პარლამენტში განსახილველად შევიდა კანონპროექტი, რომლის თანახმად წლების განმავლობაში არსებული ბინათმესაკუთრეებისა და ბინითმოსარგებლეების უფლებები თანაბრად იქნება დაცული.

აღნიშნული სიახლით გაუქმდება ის შეზღუდვა, რომელიც მხარეებს საკითხის გადაჭრის ბოლო ვადად 2012 წლის 1 იანვარს უწესებდა. მხარეთა უფლებებს „თბილისელების ადვოკატის“ კვალიფიციური იურისტები ქალაქის ყველა უბანში უფასოდ დაიცავენ. ასევე მხარეები სასამართლოში გათავისუფლებულნი იქნებიან ბაჟის გადასახადისგან. სიახლე აღნიშნულ საკანონმდებლო ცვლილებასთან დაკავშირებით, საზოგადოებას თბილისის მერმა გიგი უგულავამ, საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარემ ლაშა თორდიამ, პარლამენტარებმა არჩილ გეგენავამ, ანდრო ალავიძემ და თბილისის საკრებულოს წევრმა სევდია უგრეხელიძემ გააცნეს.

მერიის ინიციატივა არ არის დამაკმაყოფილებელი აქციის მონაწილეებისთვის და ბინების დაკანონებას ითხოვენ.

„ატსტუპნიკებს“ მხარდაჭერა პარტია „მომავალმა საქართველომ“ გამოუცხადა. პარტიის ლიდერის გიორგი ლაღიძის განცხადებით, იმ შემთხვევაში თუ ამ ადამიანების მოთხოვნები არ იქნება დაკმაყოფილებული, ისინი პარლამენტთან მომავალი კვირიდან შიმშილობის აქციის დაწყებას გეგმავენ.

- პრაქტიკულად ეს საკითხი დარჩა ღია, საკუთრებაში მათ ეს ფართები არ გადაეცათ. ჩვენ მიგვაჩნია, რომ მერიის ინიციატივა არის მორიგი სატყუარა ხელისუფლების მხრიდან.

ვითხოვთ საკანონმდებლო დონეზე შევიდეს კანონში ცვლილებები, რათა მათ უპირობოდ, საკუთრებაში გადაეცეთ საცხოვრებელი ფართები.

ჩვენ მიერ დაწყებული აქციები გაგრძელდება მანამ, სანამ არ დაკმაყოფილდება მათი მოთხოვნები და არ დაუკანონდებათ საცხოვრებელი ბინები. მიმაჩნია, რომ ამ ადამიანების მოთხოვნა არის სრულიად სამართლიანი, ხელისუფლებამ წლების განმავლობაში ვერ მოაგვარა ეს მეტად სერიოზული პრობლემა და დღეს სხვადასხვა სატყუარების მეშვეობით სააკაშვილის რეჟიმი ყველა ძალას ხმარობს დროებით, არჩევნებამდე მაინც შეაჩეროს ამ ხალხის პროტესტი. მე მინდა ვუთხრა მათ, რომ საზოგადოება ამ უსამართლობის მიმართ შეგუებას ნამდვილად არ აპირებს და ბრძოლა გაგრძელდება მანამ, სანამ ამ ადამიანების პრობლემები სამართლებრივად არ იქნება გადაწყვეტილი. სამწუხაროდ, ჩვენს ხელისუფლებას ხალხი ახსენდება მარტო არჩევების წინა პერიოდში, არის უამრავი ცრუ დაპირებები, ლამაზი სიტყვები, რათა ხალხი არჩევნების წინ რაღაცით მოიმადლიერონ, სხვა შემთხვევაში მათ საზოგადოების პრობლემები ნაკლებად აინტერესებთ. სააკაშვილმა და მისმა რეჟიმმა ხალხი სრულიად გააღატაკეს და დღეს მათ მიერ მიღებული უსამართლო კანონების შედეგად შესაძლოა ათასობით ადამიანი აღმოჩნდეს ღია ცის ქვეშ. ჩვენ გაჩერებას ნამდვილად არ ვაპირებთ, მორიგი აქცია გაიმართება პარლამენტთან და აქციები გაგრძელდება მანამ, სანამ არ დაკმაყოფილდება ამ ადამიანების სამართლიანი მოთხოვნები, - განაცხადა გიორგი ლაღიძემ.

**თინა კიკნაძე, აქციის მონაწილე:**

— უკვე არაერთი წელია ჩვენი პრობლემის მოგვარებას ვცდილობთ, მაგრამ ჯერჯერობით ვერანაირ შედეგს ვერ მივაღწიეთ. სამწუხაროდ, ხელისუფლება ცდილობს რამენაირად დროში გაწელოს ჩვენი პრობლემის მოგვარება, რათა შემდეგ როდესაც არჩევნებს გადააგორებენ, როგორც მათ აწყობთ, საკითხი ისე გადაწყვიტონ. კარგად გვესმის ამ საკითხის სიმძიმე, თუ მიზანს ვერ მივაღწიეთ, დარწმუნებული ვართ, ათასობით ოჯახი სულ მალე უსახლკაროდ დარჩება. ამიტომ, არანაირ დათმობაზე წასვლას არ ვაპირებთ, ჩვენი მოთხოვნა სრულიად სამართლიანია და ამ ხელისუფლებას ყველანაირად შევეცდებით სამართლიანი გადაწყვეტილება მივაღებინოთ. ჩვენ ამ ბინებში ფული უკვე გადახდილი გვაქვს, არა მგონია ნორმალურ სახელმწიფოში ბინის ხელმეორედ ყიდვა ხდებოდეს, ამიტომ თუ ჩვენს მთავრობას რაიმეზე აქვს პრეტენზია, თავის ხალხს ჯერ ელემენტარული ყოფილი პრობლემები მოუგვაროს და სხვა დანარჩენზე მერე ილაპარაკოს.

# უშიშროების თანამშრომელი ჟურნალისტს აშანტაჟებდა

შალვა ჯოხაძე

## როგორ „დასაჯა“ ხელისუფლებამ შანტაჟისტი

„ვარდების რევოლუციის“ მერე ხელისუფლებამ მედიას იმდენჯერ გადაუარა, თითოეული ფაქტის ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანს. მთავარი ტენდენცია, რაც დღეს სახეზეა, ეს არის ერთი მხრივ უამრავი ჯიბის ტელევიზია, ხელისუფლების დაკრულზე მწერალი ჟურნალ-გაზეთები და მეორე მხრივ მედია, რომელიც ჯერ კიდევ სიმართლეს ემსახურება, თუმცა ხშირად მრავალი დამცირების და დაშინების ობიექტი ხდება. ამ წლების განმავლობაში, ერთ-ერთი თვალსაჩინო ფაქტი რეგიონულ მედიაზე, კერძოდ „ბათუმელების“ ჟურნალისტზე განხორციელებული ზეწოლა იყო, რომელიც უშიშროების წარმომადგენლებმა ჩაიდინეს.

როგორც საია-ში აცხადებენ, „ბათუმელების“ წარმომადგენლებმა დაადგინეს პიროვნება, რომელიც მათი გაზეთის საგამოძიებო ჯგუფის კოორდინატორ თედო ჯორბენაძეს აშანტაჟებდა, სპეცსამსახურებთან თანამშრომლობას აიძულებდა. ის დავით დევნოზაშვილი აღმოჩნდა. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია თავიდანვე იცავდა თედო ჯორბენაძის ინტერესებს და დროულ და ეფექტურ გამოძიებას ითხოვდა.

– შანტაჟის თვითმხილველმა, გაზეთის გამომცემელმა მზია ამაღლობელმა დავით დევნოზაშვილი ამ უკანასკნელის საცხოვრებელ ბინასთან, თბილისში, დოლიძის №26-ში ამოიცნო. ფაქტთან დაკავშირებით, მზია ამაღლობელმა გამოიძახა საპატრულო პოლიცია, მათთან ერთად იყვნენ გამომძიებლები. მზია ამაღლობელის განცხადებით, საპატრულო პოლიციის ეკიპაჟმა ადგილზე ოქმი არ შეადგინა, ანუ მომხდარი ფაქტის დოკუმენტირება არ მოახდინა. მათი სიტყვიერი განმარტებით, გამოძიება მიმდინარეობს.

საია-ს დახმარებით, 21 ნოემბერს გაზეთ „ბათუმელების“ წარმომადგენლებმა განცხადებებით მიმართეს საქართველოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორს ბატონ გიზო უგულავასა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს ბატონ ივანე მერაბიშვილს და ორივე უწყებიდან სათანადო რეაგირება მოითხოვეს.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია ფიქრობს, რომ საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა უხეშად დაარღვიეს კანონით მათზე დაკისრებული მოვალეობა, რადგან არ შეადგინეს აქტი გამოძახების შესახებ, რომლის სისწორესაც მზია ამაღლობელი ხელმოწერით დაადასტურებდა. საია მიიჩნევს, რომ პოლიციელთა მხრიდან სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობა დააბრკოლებს გამოძიების ობიექტურ და წარმატებულ დასრულებას. უფრო მეტიც, მან შესაძლოა ბევრად გაურთულოს საქმიანობა საგამოძიებო ორგანოებს. აქედან გამომდინარე, საია კატეგორიულად მოითხოვს: საქართველოს მთავარმა პროკურატურამ გაატაროს სწრაფი და დროული ღონისძიებები ამოცნობილი პირისა და გაზეთის თანამშრომლების დასაკითხად; დროულად მოახდინოს ამოცნობილი პირის მიმართ ყველა სავალდებულო საპროცესო ღონისძიების გატარება, რათა მან ვერ მოახერხოს გამოძიებისათვის თავის არიდება; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაადგინოს ადგილზე მისული პოლიციელების ზუსტი ვინაობა და დასვა მათი პასუხისმგებლობის საკითხი; ორივე უწყებას, საზოგადოებას მიაწოდონ ინფორმაცია გაზეთ „ბათუმელების“ ჟურნალისტის თედო ჯორბენაძის მიმართ განხორციელებულ დანაშაულის ფაქტზე გამოძიების მიმდინარეობის შესახებ, – აცხადებენ ორგანიზაციაში.

„ბათუმელებში“ მათ მიერ შანტაჟში მხილებული სამართალდამცავის ამოცნობის შესახებ დეტალურად საუბრობენ.

– 20 ნოემბერს, გაზეთმა „ბათუმელებმა“ მიაკვლია იმ პირს, ვინც გაზეთ „ბათუმელების“ საგამოძიებო ჯგუფის კოორდინატორს, თედო ჯორბენაძეს 2009 წლის 25 ნოემბერს ბათუმში, შინაგან საქმეთა სამინისტროს (ყოფილი უშიშროების შენობა, გრიბოედოვის ქ.№4) შენობაში, შანტაჟის გზით აიძულებდა, სპეცსამსახურებთან ეთანამშრომლა. გაზეთმა „ბათუმელებმა“ 2009 წლის 26 ნოემბერს მიმართა პროკურატურას საქმის აღძვრის მოთხოვნით. ორი წლის განმავლობაში საქმე არ გახსნილა და პროკურატურა აცხადებდა, რომ ვერ ხერხდება იმ პირების პოვნა, რომლებმაც თედო ჯორბენაძე დააშანტაჟეს.

გამოძიებას უნდა დაედგინა, ვინ იყო „ვინმე ბატონი დავითი“, რომელიც 2009 წლის ნოემბერში შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის ერთ-ერთ სამმართველოს შენობაში ჟურნალისტს საბჭოთა კაგებეს მეთოდებით აშანტაჟებდა, ეუბნებოდა, რომ თუ მათთან არ ითანამშრომლებდა, მის „მაკომპრომეტირებელ ფოტოებს“ გაავრცელებდნენ. თედო ჯორბენაძესთან ერთად იმყოფებოდნენ გაზეთ „ბათუმელების“ მთავარი რედაქტორი ეთერ თურაძე და გაზეთ „ბათუმელების“ დირექტორი მზია ამაღლობელი.

2009 წლის დეკემბერში გამოძიებამ თედო ჯორბენაძეს,





მზია ამაღლობელსა და ეთერ თურაძეს ამოსაცნობად წარუდგინა ფოტოები, თუმცა მათ შორის არ იყო „ვინმე ბატონი დავითის“ ფოტო.

ორწლიანი დამოუკიდებელი ჟურნალისტური გამოძიების შედეგად „ბათუმელებმა“ მიაგნო „ვინმე დავითს“ – დავით დევნოზაშვილს.

1971 წელს დაბადებული დავით დევნოზაშვილი თბილისში, დოლიძის 26-ე კორპუსში ცხოვრობს. მისი ამოცნობა გაზეთ „ბათუმელების“ დირექტორმა, მზია ამაღლობელმა შეძლო, რომელმაც დევნოზაშვილს სახლში შპს „ბათუმელების“ თანამშრომლებთან ერთად მიაკითხა. დევნოზაშვილმა ამაღლობელთან საუბრისას დაადასტურა, რომ მართლაც მუშაობდა ბათუმში. მზია ამაღლობელი დევნოზაშვილთან საუბრის შემდეგ დაუკავშირდა საპატრულო პოლიციას და აცნობა, რომ დავით დევნოზაშვილი არის სწორედ ის პირი, რომელიც სამსახურებრივი მოვალეობის გადამეტებით აშანტაჟებდა ჟურნალისტ თედო ჯორბენაძეს, – აცხადებენ გაზეთში.

მათივე ინფორმაციით, რამდენიმე წუთის შემდეგ დოლიძის 26-ე კორპუსთან საპატრულო პოლიციის ეკიპაჟი მივიდა. ეკიპაჟის უფროსი კაპიტანი ხვიჩა კირვალიძე იყო. საპატრულო ეკიპაჟთან ერთად ადგილზე მოვიდნენ გამომძიებლები. უბნის ინსპექტორმა დაადასტურა, რომ დავით დევნოზაშვილი ნამდვილად იქ ცხოვრობდა და ის ძალოვანი სტრუქტურების თანამშრომელი იყო. საპატრულო პოლიცია ადგილზე ერთი საათის განმავლობაში იმყოფებოდა და სატელეფონო კონსულტაციებს აწარმოებდა. 18:34 საათზე საპატრულო პოლიციის ეკიპაჟი მივიდა მზია ამაღლობელთან და განუცხადა, რომ ხელმძღვანელობას ესაუბრნენ, დაადასტურეს, რომ გამოძიება გრძელდება და მიმდინარეობს აღნიშნულ ბინაზე თვალთვალი. დაჟინებული მოთხოვნის მიუხედავად, საპატრულო პოლიციის ეკიპაჟმა სათანადო აქტი არ გააფორმა და გამოძახების ადგილი მიატოვა.

„ბათუმელების“ დირექტორმა ვანო მერაბიშვილისათვის გაგზავნილ წერილში ეს ყველაფერი დეტალურად აღწერა.

– 2009 წლის 25 ნოემბერს ქ. ბათუმში გაურკვეველმა პირებმა გააჩერეს „გაზეთ ბათუმელების“ თანამშრომელი – თედო ჯორბენაძე, რომლებიც, მათივე თქმით, იყვნენ პოლიციის თანამშრომლები და მოსთხოვეს განყოფილებაში (ბათუმი, გრიბოედოვის ქ.№4) გაყოლა. აღნიშნულ მისამართზე გამოვცხადდით გაზეთ „ბათუმელების“ ხელმძღვანელები – მზია ამაღლობელი, ეთერ თურაძე და თედო ჯორბენაძე. თუმცა, ჩვენგან მოშორებით გაიყვანეს მხოლოდ თედო ჯორბენაძე და მის მიმართ განახორციელეს ფსიქოლოგიური ზეწოლა; შანტაჟის და იძულების გზით (აღნიშნული პირები ემუქრებოდნენ, რომ გაუხმაურებდნენ თედო ჯორბენაძის პირადი ცხოვრების ისეთ დეტალებს, რომლის გავრცელების შემთხვევაში საზოგადოება ზურგს შეაქცევდა და სამსახურსაც დაკარგავდა) ისინი ცდილობდნენ მის დათანხმებას მათთან თანამშრომლობაზე, თუმცა ამაზე კატეგორიული უარი მიიღეს.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით დაიწყო გამოძიება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურაში, თუმცა გამოძიება დღემდე ჭიანურდება იმ მიზეზით, რომ პროცესის მწარმოებელი ირგანოს მიერ ვერ მოხერხდა იმ პირთა ვინაობის დადგენა, რომლებმაც თედო ჯორბენაძის წინააღმდეგ დანაშაულებრივი ქმედება განახორციელეს.

გაზეთ „ბათუმელების“ მიერ 2011 წლის 20 ნოემებრს აღმოჩენილ იქნა ერთ-ერთი პირის, დავით დევნოზაშვილის საცხოვრებელი სახლი და მისივე საცხოვრებელ მისამართზე მოხდა ამ პირის იდენტიფიცირება, ამოცნობა (მე პირადად, მზია ამაღლობელი, რომელიც 2009 წლის 25 ნოემბერს პირადად ვიყავი და ვესწრებოდი თედო ჯორბენაძის დაშანტაჟების ფაქტს, მივედი დავით დევნოზაშვილის საცხოვრებელ სახლში და კარი სწორედ იმ ადამიანმა გააღო, რომელიც უშუალო მონაწილე იყო ამ პროცესის. გამოძიებასთან თანამშრომლობის მიზნით დავუკავშირდით პოლიციას და პროკურატურას მივაწოდეთ აღნიშნული ინფორმაცია).

უფრო კონკრეტულად მოგახსენებთ, რომ გამოძიებამ დღემდე ვერ დაადგინა ვინ იყო ვინმე ბატონი დავითი, რომელიც აშანტაჟებდა ჟურნალისტს და ეუბნებოდა, რომ თუ ის მათთან არ ითანამშრომლებდა, ისინი გაავრცელებდნენ მის მაკომპრომეტირებელ ფოტოებს...

მოვითხოვთ, დაუყოვნებლივ მოგვაწოდოთ ყველა იმ დოკუმენტის ასლი (ინფორმაცია) რომელიც არის რეგისტრირებული შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის განყოფილებაში 2011 წლის 20 ნოემბერს გაზეთ „ბათუმელების“ მიერ გაკეთებულ შეტყობინებასთან დაკავშირებით; დაგვიბაროთ და დეტალურად გაარკვიოთ იმ დღეს მომხდარი ფაქტები; გამოავლინოთ დამრღვევი პოლიციის თანამშრომლები და დარღვევის სიმძიმის მიხედვით მისცეთ პასუხისმგებლობაში. ველით თქვენს დაუყოვნებლივ რეაგირებას, – მიმართავს მზია ამაღლობელი ვანო მერაბიშვილს.

ირკვევა, რომ დასჯის ნაცვლად, დავით დევნოზაშვილი წაახალისეს.

– 2010 წლის 10 იანვარს ბათუმში, არასამთავრობო ორგანიზაციებთან დახურულ შეხვედრაზე მედიის თავისუფლებასთან დაკავშირებით, საქართველოს პრეზიდენტმა ახსენა „გაზეთი ბათუმელებიც“. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მაშინდელი თავმჯდომარის, თამარ ხიდაშელის თქმით, პრეზიდენტის სიტყვის „ქვეტექსტი დაახლოებით ასეთი იყო: „ბათუმელები“ ისეთს არაფერს წარმოადგენს, რომ ხელისუფლება დაინტერესებული ყოფილიყო მისი დაშინებით. მიხეილ სააკაშვილმა აღნიშნა, რომ მათ სურათები აჩვენეს, მაგრამ ვერავინ ამოიცნეს. მაშინ, როცა გამოძიება „ვინმე დავითის“ „ამაოდ ადგენდა“, საქართველოს პრეზიდენტმა 2011 წლის 11 ივლისის №11/07/02 განკარგულებით, „ვინმე დავითს“ – დავით დევნოზაშვილს ქ. თბილისში, კახეთის გზატკეცილის №36-ში მდებარე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 67,17 კვადრატული მეტრი ბინა 1 ლარად კერძო საკუთრებაში გადასცა. საჯარო რეესტრის მონაცემებით, ეს ბინა უკვე დავით დევნოზაშვილის საკუთრებაა, – აცხადებენ ჟურნალისტები.


# TBC Prime Card-ით ვენეციურ კარნავალზე

თიბისი ბანკი Prime Card-ის ყველა მფლობელს ოცნების ახდენას სთავაზობს! თუ თქვენ ჯერ კიდევ არ გაქვთ TBC Prime Card იჩქარეთ, რადგან გეძლევათ უნიკალური შანსი, მოხვდეთ 2012 წლის ყველაზე პოპულარულ და ხალხმრავალ სანახაობებზე:

- **ფეხბურთის ევროპის ჩემპიონატის ფინალი (ივლისი, 2012, უკრაინა)**
- **როტერდამის ჯაზ ფესტივალი (ივლისი, 2012, ჰოლანდია)**
- **ფორმულა ერთის გრან პრი (მაისი, 2012, საფრანგეთი, მონაკო)**
- **ვენეციის კარნავალი (თებერვალი,2012, იტალია)**
- **ჯორჯ მაიკლის კონცერტი (აპრილი, 2012, საფრანგეთი, პარიზი)**

ამ საგზურებიდან სასურველს თავად გამარჯვებული აირჩევს, საკუთარი სურვილისა და გემოვნების შესაბამისად. 13 იანვარს, საღამოს 18:30 საათზე, რუსთავი 2-ის პირდაპირ ეთერში გამოვლინდება ის 5 გამარჯვებული, რომლებიც 2012 წლის ყველაზე გრანდიოზულ სანახაობებზე მოხვდებიან.

ამ გრანდიოზულ სანახაობათაგან ერთ-ერთი სწორედ ვენეციის კარნავალია, საოცრებათა დღესასწაული, სადაც ყოველწლიურად ნახევარ მილიონამდე ტურისტი იკრიბება მხოლოდ იმიტომ, რომ მითებისა და შთაბეჭდილებების სამყაროში მოხვდეს და მხიარულ თავდავიწყებას მიეცეს, საკუთარი თვალით ნახოს ნეონის ნათურებით, მაშხალებითა თუ ჩირაღდნებით აელვარებული ქალაქი, გონდოლებით მოსეირნე ნიღბიანი ადამიანები და, რაც მთავარია, ცოტა ხნით მაინც გახდეს ნამდვილი ზღაპრის გმირი...



ვენეციის კარნავალი სათავეს რომის იმპერიიდან იღებს. თავის დროზე ის პლანეტა სატურნისადმი მიძღვნილი ყოველწლიური დღესასწაული იყო. ეს იყო ერთადერთი დღე, როდესაც რომაელ დიდგვაროვნებსა და მონებს ერთ მაგიდასთან ჯდომის უფლება ჰქონდათ და ერთმანეთის სახე რომ არ დაენახათ, ყველა ნიღაბს იკეთებდა. დროთა განმავლობაში უბრალო ნიღბები ნამდვილ ხელოვნების ნიმუშად გადაიქცა – შეიძინა სხვადასხვა ფორმა და ფერი, ათასგვარი დეტალი, ელვარება, გრაციოზულობა, სისადავეც კი... ვენეციური ნიღაბი კარნავალის განუყოფელი ატრიბუტია, ის იტალიური კომედია „*dell'arte*“-ს ნიღბების გავრცობილ ვარიანტებს წარმოადგენს, ამიტომ კარნავალის მონაწილეთა შორის იოლად ამოიცნობთ არლეკინს, კოლომბინას, პედროლინოსა თუ პულჩინელას, მათ გვერდით კი არა ნაკლებ ცნობილი პერსონაჟების – ბაუტას, შავი ჭირის ექიმისა თუ ვოლტოს შემჩნევაა შესაძლებელი.

ისევე, როგორც საუკუნეების განმავლობაში, დღესაც კარნავალი Festa delle Marie-თი მეკობრეების მიერ გატაცებული ვენეციელი გოგონების ტყვეობიდან დახსნისადმი მიძღვნილი დღესასწაულით იხსნება, შემდეგ კი ეპიცენტრი წმინდა მარკის მოედანზე ინაცვლებს და კომედია „*dell'arte*“-ს წარმოდგენები იწყება, რისი დასრულების მაუწყებელიც ზეციდან გადმოყრილი კანფეტების წვიმაა. როგორც კი კარნავალის მონაწილეები პირს ჩაიტკბარუნებენ, ვენეციის ქუჩები და არხები თავისუფლად მოსეირნე ხალხით ივსება, თუმცა მათ ყოველ ნაბიჯზე უწევთ შეჩერება, რადგან ერთმანეთის პარალელურად უამრავი წარმოდგენა, კონცერტი, ბალ-მასკარადი და ფეიერვერკი იმართება. აქვე ნურც იმას დაივიწყებთ, რომ კარნავალის მიღმა უთუოდ მოგხიბლავთ ვენეციის უნიკალური არქიტექტურა, უძველესი ქუჩები და გონდოლიერთა ხმაშეწყობილი სიმღერა ... ამ ყველაფრის უნახავად კი ვენეციის დატოვება არაფრით არ ღირს.

და როდესაც შინ დაბრუნდებით, დარწმუნებული იყავით, რომ იმავე დღეს თქვენი TBC Prime Card-ის ზედაპირზე ახალი გამოსახულება გაჩნდება – სადღესასწაულოდ გაბრწყინებულ ვენეციაში თქვენივე მოგზაურობის დაუვიწყარი კადრები.

შედით საიტზე atb.ge „%!!

# მედვედევის განცხადებას ვაშაძე გამოეხმაურა

ნათია ხურცილავა

საგარეო საქმეთა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ განაცხადა, რომ 2008 წლის აგვისტოს ომი კრემლში დაიგეგმა და ეს უკვე დაადასტურა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა.

რუსეთის პრეზიდენტის დიმიტრი მედვედევის განცხადებას საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გრიგოლ ვაშაძე გამოეხმაურა და „ეხო მასკვის" განუცხადა, რომ რუსული აგრესიის ერთ-ერთი მიზეზი ნატო-სკენ საქართველოს სვლის შეჩერება იყო.

— მედვედევი პირველი არაა, ვინც ამას ამბობს. მანამდე მსგავსი რამ ბატონმა რაგოზინმაც თქვა. ეს სხვა არაფერია, თუ არა გახსენება, რაც კრემლში 2008 წლის დასაწყისში დაიგეგმა და რაც შემდეგ 2008 წლის აგვისტოში განხორციელდა, როდესაც რუსეთის არმია ღიად შეიჭრა საქართველოს ტერიტორიაზე, დახოცა 500 მშვიდობიანი მოქალაქე, დაბომბა ქალაქები და გაანადგურა ინფრასტრუქტურა. შესაბამისად, ამ აგრესიის ერთ-ერთი მიზეზი სწორედ საქართველოს ნატო-სკენ სვლის შეჩერება იყო. თუმცა, ისინი სხვა მიზნებზე აღარ საუბრობენ. კერძოდ, იმაზე, რომ სურდათ შეეჩერებინათ ეკონომიკური და დემოკრატიული რეფორმები საქართველოში. მთლიანად შეეზღუდათ ქართველი ხალხის არჩევანის თავისუფლება და შეეცვალათ დემოკრატიულად არჩეული საქართველოს ხელისუფლება. ახლა კი, რატომღაც, მიიჩნიეს, რომ დანაშაულზე, რომელიც 2008 წელს ჩაიდინეს, თითქმის სიამაყით ესაუბრათ, — განაცხადა ვაშაძემ.



გიგოლ ვაშაძე

მისი თქმით, არ ეგულება დასავლეთში ისეთი პოლიტიკურად გულუბრყვილო ადამიანი, რომელიც დაიჯერებდა ყველა განცხადებას, რომელიც აგვისტოს იმ საშინელ დღეებში კეთდებოდა მოსკოვიდან, რომ თითქოს რუსეთი იცავს თავის მოქალაქეებს, თავის „მშვიდობისმყოფელებს", აიძულებს საქართველოს მშვიდობას, ისე, თითქოს რუსეთი და მის მიერ გაწვრთნილი ბანდები არ ბომბავდნენ ქალაქებსა და სოფლებს და უკვე პირველ აგვისტოს არ კლავდნენ ქართველ სამხედროებს, პოლიციელებს და მშვიდობიან მოქალაქეებს.

ვაშაძე ამბობს, რომ დასავლეთისთვის ყველაფერი ნათელია, რომ არ ყოფილიყო ასე, მინისტრს არგუმენტად მოჰყავს საქართველოს პროგრესი ევროკავშირის მიმართულებით, ასეთი აქტიური არ იქნებოდა.

— დასავლეთისთვის ყველაფერი ნათელია, მათ შორის, დასკვნაც (ტალიავინის კომისია). მოსკოვში ძალიან უყვართ ამ დასკვნის ყურით მოთრევა იმ იმედით, რომ ამ დოკუმენტს არავინ წაიკითხავს. ან თუ წაიკითხავს, მხოლოდ პოლიტიკურ ნაწილს და არა სამართლებრივს, მაგრამ დასავლეთში ყველას კარგად ესმის, ვინ დაიწყო ომი 2008 წელს. ამ ცოდნის შედეგია ის რეზოლუცია, რომლებიც მიღებულია ყველა დემოკრატიული ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოების მიერ — ამერიკის სენატით დაწყებული და ევროპარლამენტით დამთავრებული. ეს ცოდნა რომ არა, ჩვენი წინსვლა, მაგალითად, ევროკავშირთან დაკავშირებით, ასეთი მიზანსწრაფული არ იქნებოდა. 2008 წლის შემოდგომიდან დღემდე ჩვენ, პრაქტიკულად, პროგრამა მაქსიმუმი შევასრულეთ ევროკავშირთან ჩვენს თანამშრომლობასთან დაკავშირებით. მინდა „დავამშვიდო" კრემლი: ნატო-სკენ საქართველოს სწრაფვას რაც ეხება, ყველაფერი კარგადაა და ეს წინსვლა სასურველი შედეგით, მოკლე დროში დასრულდება, — განაცხადა გრიგოლ ვაშაძემ.

საგარეო საქმეტა მინისტრის განცხადებით, არსებობს შესანიშნავი რუსული გამოთქმა, რომ რუსეთში ყველაფერი შეიძლება მოხდეს, მაგრამ ტრაგედია ისაა, რომ ეს ყველაფერი შესაძლებელია განმეორდეს.

— რაც შეეხება რუსეთის სამხედრო აგრესიას, რა თქმა უნდა, არაფრის გამორიცხვა არ შეიძლება. სამწუხაროდ, ჩვენ ისეთი სახელმწიფოს მეზობელი ვართ, რომლის მოქმედების წინასწარ განჭვრეტა შეუძლებელია. ეს არის სახელმწიფო, რომელსაც არც თავის შიდა საქმეებზე აქვს წარმოდგენა და არც საგარეო პოლიტიკაზე. მიმაჩნია, რომ საქართველოს წინააღმდეგ სამხედრო აგრესიის გამეორება რუსეთისთვის თვითმკვლელობის ტოლფასი იქნებოდა. რუსეთი საბოლოოდ გადაიქცევა იმ ქვეყნად, რომელთანაც ცივილური, ნორმალური დიალოგი შეუძლებელი იქნება. ასევე მგონია, რომ ეს დრო 2008 წელს რუსეთმა ხელიდან გაუშვა და ისტორია ასეთ შანსს რუსეთის სამხედრო მანქანას მეორედ აღარ მისცემს, — ამბობს გრიგოლ ვაშაძე.

საქართველოს საგარეო უწყება ვლადიკავკაზში 58-ე არმიის ოფიცრებთან შეხვედრაზე რუსეთის პრეზიდენტის დიმიტრი მედვედევის განცხადებას გამოეხმაურა.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებით, რუსეთის ოფიციალური პირები, ყველა დონეზე, სულ უფრო ხშირად აკეთებენ განცხადებებს, რომ 2008 წლის აგვისტოში საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული ღია სამხედრო აგრესიის მიზეზს წარმოადგენდა სწორედ გეოპოლიტიკური ფაქტორები, კერძოდ, ნატო-ს გაფართოების შეჩერება.

საგარეო უწყების განცხადებით, ბოლო პერიოდში რუსეთის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ უდიდეს მიღწევად მიიჩნევა ის, რომ დღეს „საქართველო ნატო-ს წევრი ქვეყანა არ არის". საქართველოს საგარეო უწყების განცხადებით, აღნიშნული განცხადების შემდეგ სრულიად აშკარაა, რომ 1990-იანი წლებიდან სუვერენული საქართველოს წინააღმდეგ მიმართულ რუსეთის აგრესიულ პოლიტიკას და 2008 წლის აგვისტოს ომს ჰქონდათ და აქვთ კონკრეტული მიზნები — ცივილიზებულ სამყაროში, კერძოდ, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში საქართველოს ინტეგრაციისთვის ხელის შეშლა, საქართველოს დემოკრატიულად არჩეული ხელისუფლების დამხობა და მიმდინარე რეფორმების შეჩერება.

— ამასთანავე, რუსეთი მიზნად ისახავდა ე.წ. „პრივილეგირებული ინტერესების ზონის" დაკანონებას, სადემარკაციო ხაზის გავლებას დემოკრატიულ სამყაროსთან და ამ საკითხზე საკუთარი შეურიგებელი პოზიციის დემონსტრირებას. უპრეცედენტო კორუფციასა და ტოტალიტარიზმში ჩაფლული რუსეთის დღევანდელ მესვეურთათვის ძალზე გამაღიზიანებელ და საშიშ ფენომენს წარმოადგენს საქართველოს, როგორც წარმატებული დემოკრატიისა და კანონიერებაზე დამყარებული სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის მაგალითი, ვინაიდან ასეთი მაგალითის არსებობა შეუძლებელს ხდის მათთვის დაუსაბუთონ საკუთარ მოსახლეობას იმ მახინჯი სახელმწიფოებრივი მოდელის აუცილებლობა, რომელსაც ისინი ქმნიან. სწორედ ამიტომაც არის რუსეთის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტი საქართველოს სახელმწიფოებრიობის განადგურება. თუმცა, კანონზომიერი ისტორიული პროცესების მსვლელობას და თავისუფლების მოყვარე ერების წადილს მედვედევები ვერ შეაჩერებენ, — ნათქვამია საქართველოს საგარეო უწყების განცხადებაში.

# თბილისი სარგსიანის დასახვედრად ემზადება

ნათია ხურცილავა



სერჟ სარგსიანი

პრეზიდენტის პრეს-სპიკერმა მანანა მანჯგალაძემ რუსეთის პრეზიდენტის დიმიტრი მედვედევის განცხადებაზე ისაუბრა. მისი თქმით, რუსეთის აგრესიული რიტორიკის მიღმა საერთაშორისო სამართლის მიმართ მორიგი დაცინვა იმალება.

საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული სამხედრო აგრესიის მიზეზები ცინიკური ფორმით კიდევ ერთხელ გაცხადდა.

ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტის პრესსპიკერმა მანანა მანჯგალაძემ დიმიტრი მედვედევის განცხადების კომენტირებისას განაცხადა. მისი თქმით, ეს საერთაშორისო თანამეგობრობისთვის კიდევ ერთი ნიშანი იყო იმისა, თუ როგორი აგრესიული მიზნები ამოძრავებს რუსეთის დღევანდელ რეჟიმს არა მხოლოდ საქართველოს, არამედ სხვა მეზობელი სახელმწიფოების მიმართ.

— ეს არის კიდევ ერთი ნიშანი საერთაშორისო თანამეგობრობისადმი იმისა თუ როგორი აგრესიული მიზნები ამოძრავებს რუსეთის დღევანდელ რეჟიმს, არა მხოლოდ საქართველოს, არამედ სხვა მეზობელი სახელმწიფოების მიმართ. ამ აგრესიული რიტორიკის მიღმა, რუსეთის მხრიდან, საერთაშორისო სამართლის მორიგი დაცინვა იმალება. ვწუხვარ, რომ ეს არის რეალური სახე იმ რეჟიმისა, რომელიც დღეს მართავს რუსეთს. ეს არის კიდევ ერთი დადასტურება იმისა, რაც ჩვენთვის და მთელი საერთაშორისო თანამეგობრობისთვის ცნობილია იმის თაობაზე თუ ვინ და რატომ დაიწყო ომი 2008 წლის აგვისტოში, — ამბობს პრეზიდენტის პრეს-სპიკერი.

რუსეთის პრეზიდენტი დიმიტრი მედვედევი საქართველოსთან ომის შედეგად იმას მიიჩნევს, რომ 2008 წელს საქართველო და კიდევ რამდენიმე ქვეყანა ნატო-ს წევრი არ გახდნენ.

დასავლეთის იმ ქვეყნებისთვის, რომლებმაც ბუქარესტის სამიტზე საქართველოს მაპი-ს მიცემაზე ღიად უთხრეს უარი, მაშინ ექსპერტები აცხადებდნენ, რომ ეს შეიძლება კარგი საბაბი გამხდარიყო რუსეთისთვის, რომ ღია აგრესიაზე წასულიყო.

მანანა მანჯგალაძემ ასევე ისაუბრა რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებამ რა შედეგები შეიძლება მოუტანოს საქართველოს.

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრობა რუსეთს აიძულებს, მოხსნას შეზღუდვები ქართულ პროდუქციაზე და გააუქმოს ის დისკრიმინაციული ნორმები, რომელიც მოსკოვს მსოფლიოს არაერთი ქვეყნისთვის აქვს დაწესებული.

ამის შესახებ პრეზიდენტის პრესსპიკერმა ტრადიციულ ბრიფინგზე განაცხადა.

მისი თქმით, განსაკუთრებული სისასტიკით ეს ნორმები ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების მიმართ მოქმედებს, თუმცა, როგორც მანჯგალაძემ აღნიშნა, საქართველოს მთავრობა მუშაობს ქართული პროდუქციისთვის ბევრად უფრო საინტერესო უცხოური ბაზრების ათვისებაზე.

— ხარისხი და მასზე ორიენტაცია არის ის უმთავრესი პრიორიტეტი, რომელიც ექსპორტზე გასატან ქართულ პროდუქციასთან დაკავშირებით ჩვენ გვაქვს. ამ მიზანს ემსახურება მიღებული გადაწყვეტილება ღვინის ინსტიტუტის გახსნასთან დაკავშირებითაც, — აღნიშნა მანჯგალაძემ.

წინანდალში ღვინის ინსტიტუტი გასულ კვირას დაფუძნდა.

პრეზიდენტის ადმინისტრაციაში ჟურნალისტებს განუცხადეს, რომ 29-30 ნოემბერს საქართველოს ორდღიანი ოფიციალური ვიზიტით სომხეთის პრეზიდენტი სერჟ სარგსიანი ეწვევა.

სომხეთის პრეზიდენტის ვიზიტი საქართველოში ოქტომბრისთვის იგეგმებოდა, მაგრამ მაშინ გაურკვეველი მიზეზებით გადაიდო.

გავრცელებული ინფორმაციით, სომხეთის პრეზიდენტი ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტის განცხადებამ გაანაწყენა, რომელიც სააკაშვილმა სომხეთ-საქართველოს მაგისტრალის 86-ე კილომეტრზე ჩამოწოლილი მეწყერის დროს გააკეთა, რომ საქართველო პრობლემას რამდენიმე საათში გადაჭრიდა.

ამბობენ, რომ საგარეო საქმეთა მინისტრის გრიგოლ ვაშაძის სომხეთში ვიზიტი ერთგვარი მობოდიშება იყო სომხური მხარის მიმართ. თუმცა, ეს ინფორმაცია საგარეო საქმეთა სამინისტროს არ დაუდასტურებია.

# როგორ გადამოწმდება სიები

ნათია ხურცილავა

ცენტრალური საარჩევნო კომისია და ახლად შექმნილი, ამომრჩეველთა სიების დამდგენი კომისია უკვე იწყებს ზრუნვას ამომრჩეველთა სიების დაზუსტებაზე.



მამუკა კაციტაძე

სიების დამდგენ კომისიას პრეტენზია აქვს, რომ კარგი საარჩევნო სია დადოს და 2012 წლის საპარლამენტო არჩევნები სწორედ დაზუსტებული სიებით ჩატარდეს.

სიების დამდგენი კომისია და ცენტრალური საარჩევნო კომისია საერთაშორისო თანამეგობრობის გამოცდილების გაზიარებას აპირებენ.

სწორედ ამ მიზნით სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში" თემაზე „ამომრჩეველთა სიების დახვეწა" მრგვალი მაგიდა გაიმართა.

ღონისძიება ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების ფონდის დაფინანსებით, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის, ეუთო-სა და ადამიანის უფლებათა ოფისის, ასევე საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის ორგანიზებით გაიმართა.

მრგვალ მაგიდაში ცენტრალური საარჩევნო კომისიის, საქართველოს პარლამენტის, პოლიტიკური პარტიების, ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების, სამოქალაქო საზოგადოებისა და საერთაშორისო ინსტიტუტების წარმომადგენლებმა მიიღეს მონაწილეობა.

მრგვალი მაგიდა ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ გახსნა. შეხვედრაზე განიხილება როგორც საერთაშორისო სტანდარტები საარჩევნო სიების სრულყოფის მიზნით, ასევე ამ კუთხით დემოკრატიული ქვეყნების წარმატებული გამოცდილება.

მრგვალი მაგიდის ფარგლებში სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციები პრეზენტაციასაც გამართავენ.

— ჩვენეული ხედვები, ჩვენეული გეგმები გავაცანით აქ მყოფ საზოგადოებას. მეორე მხრივ მოვისმინეთ ის რეკომენდაციები და გამოცდილება, რომელიც საერთაშორისო საზოგადოებას აქვს ამომრჩეველთა სიების დადგენასთან დაკავშირებით, — განაცხადა მამუკა კაციტაძემ.

# აშშ-ის კონგრესის დელეგაცია თბილისს ეწვევა



22-24 ნოემბერს თბილისს ეწვევა აშშ-ის კონგრესის წარმომადგენელთა პალატის დელეგაცია.

როგორც „მედიანიუსს" აშშ საელჩოდან აცნობეს, დელეგაცია შეხვდება პრეზიდენტ სააკაშვილს,Aპარლამენტის თავმჯდომარე ბაქრაძეს, ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს მდივან ბოკერიასა და ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებს. ამერიკელი კონგრესმენები დაათვალიერებენ რუსთავის იუსტიციის სახლსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების ცენტრს. 23 ნოემბერს კონგრესმენები რიყის პარკში, რონალდ რეიგანის მონუმენტის გახსნას დაესწრებიან.

დელეგაციაში არიან კონგრესმენები: დევიდ დრაიერი (რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენელი კალიფორნიიდან), ედ უიტფილდი (რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენელი კენტუკიდან) და დონალდ პეინი (დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი ნიუ ჯერსიდან), აგრეთვე წარმომადგენელთა პალატის სპიკერის აპარატის უფროსი ბარი ჯექსონი. დელეგაციის ხელმძღვანელი, კონგრესმენი დრაიერი, აშშ-ის წარმომადგენელთა პალატის საპროცედურო კომიტეტის თავმჯდომარეა..

მედიანიუსი

# ჯემალ გამახარია: „აფხაზეთის პრობლემის მოსაგვარებლად ნებისმიერი გზა მისაღებია"

დასაწყისი მე-4 გვერდზე

***რისთვის უნდა მოიხადოს ქართველმა ბოდიში?***

— მე მხარს დავუჭერდი ბოდიშის მოხდას მხოლოდ მას შემდეგ, რაც ქართველებსა და აფხაზებს შორის შედგება გარკვეული შეთანხმება ერთად ყოფნის შესახებ, შეთანხმების გაფორმებამდე 5 წუთით ადრე ან შემდეგ. როცა აფხაზეთი საქართველოსთან ერთ სივრცეში გაერთიანდება, შეიძლება ორივე მხარემ მოიხადოს ბოდიში ომის შედეგად დაზარალებული ქართველებისა და ვითომ გამარჯვებული, მაგრამ სინამდვილეში, ასევე დაზარალებული აფხაზი ხალხის წინაშე. ხოლო ცალმხრივი „მაპატიეთ, ბოდიში" იქნება მხოლოდ და მხოლოდ მონური ფსიქოლოგიის დემონსტრირება, საკუთარი ღირსების შელახვა, თავის დაცინვა.

***— კამპანიას თავის ინტერნეტგაზეთში აქვს ასეთი ბანალური შეკითხვა: „რას ეტყოდით აფხაზ ხალხს ამდენი წლის მერე?" ბატონო ჯემალ, თქვენ რას ეტყოდით აფხაზებს?***

— მე ვეტყოდი, რომ ძალიან მენატრება აფხაზეთიც და აფხაზიც. დარწმუნებული ვარ, რომ დადგება დრო, როცა ამ ნატვრას ჩემთან ერთად ყველა ქართველი, პირველ რიგში, დევნილი აისრულებს. გარდა ამისა, მინდა ვთქვა, რომ აფხაზები ბევრჯერ ყოფილან ძალიან მძიმე განსაცდელის წინაშე და ყოველთვის უპოვიათ რაციონალური გამოსავალი. მე, რა თქმა უნდა, არავის არაფერს თავს არ ვახვევ, მაგრამ გამოსავალი არის ისევ და ისევ ქართულ სივრცეში დაბრუნება. აფხაზთა ფიზიკური გადარჩენის, თუ გნებავთ, ავტონომიური სახელმწიფოებრიობის გადარჩენის ერთადერთი გარანტი არის არა რუსეთი, ნაურუ და ტუვალუ, არამედ საქართველო. სხვა პერსპექტივა და მომავალი მათ არა აქვთ. იმედი მაქვს, აფხაზები ამჯერადაც თვითონ იპოვიან გამოსავალს შექმნილი ჩიხური მდგომარეობიდან.

***— „ბოდიშის" ინიციატორებს რას ეტყოდით?***

—მათ თუ რამე ვაწყენინე, ბოდიშს ვუხდი!

# კომპანია ნატახტარი მომავალზე ზრუნავს

## სამთვიანი აქცია დაიწყო — ერთად ვიზრუნოთ მომავალზე

კომპანია „ნატახტარი" ყოველთვის საზოგადოებრივად აქტიური ბიზნეს ორგანიზაციაა, გამოირჩევა მაღალი სოციალური პასუხისმგებლობითა და აცნობიერებს ქვეყნის, რეგიონისა და გლობალურ განვითარებაში ქველმოქმედებისა და სპონსორობის სასიცოცხლო მნიშვნელობას.

15 ნოემბრიდან კომპანია „ნატახტარმა" დაიწყო ახალი პროექტი „იზრუნე მომავალზე", რომელიც დაეხმარება მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს და მისცემს საშუალებას თავი დაიმკვიდროს საზოგადოებაში. აქცია კომპანიის პირველი მასშტაბური პროექტია, რომელიც ბავშვების დახმარებისკენ იქნება მიმართული.

ფონდი პატრიარქის ლოცვა–კურთხევითა და არასამთავრობო ორგანიზაცია, ასოციაცია „ჩემი სახლი – საქართველოს" მხარდაჭერითა და დახმარებით შეიქმნა. აქცია 15 თებერვლამდე გაგრძელდება და თითოეული „ნატახტარის" ლიმონათიდან გაყიდული თანხა ფონდში გადაირიცხება. თანხის რაოდენობა 1, 3 და 5 თეთრი იქნება და მის მოცულობაზეა დამოკიდებული.

მიმდინარე აქციასთან დაკავშირებით, გუშინ, „ქორთიარდ მერიოტის" საკონფერენციო დარბაზში გარმართა პრესკონფერენცია, რომელსაც კომპანია „ნატახტარის" მარკეტინგის მენეჯერი თორნიკე ნიკოლაიშვილი, ასოციაცია „ჩემი სახლი – საქართველოს" წარმადგენლები სილვია ბოროვეცი და ლელა მერაბიშვილი, აგრეთვე საქართველოს საპატრიარქოს დეკანოზი შალვა კეკელია ესწრებოდნენ და ჟურნალისტებს პროექტის ზოგად კონცეპციასა და მნიშვნელოვან დეტალებზე ესაუბრნენ.




**თორნიკე ნიკოლაიშვილი:**

– პირველ რიგში დიდი მადლობა მხარდაჭერისთვის საქართველოს საპატრიარქოს, რომლის ლოცვა–კურთხევითაც შეიქმნა ფონდი „იზრუნე მომავალზე". ასევე დიდი მადლობა მინდა ვუთხრა არასამთავრობო ორგანიზაცია, ასოციაცია „ჩემი სახლი – საქართველო", რომელიც მსგავს პროექტებში კარგად არის გათვითცნობიერებული და სურვილი გამოთქვა კომპანია „ნატახტარს" დახმარებოდა.

ჩვენი კომპანია უკვე წლებია მსგავს პროექტებზე ახორციელებს, თუმცა, ეს აქამდე მხოლოდ ერჯერადი აქციებით შემოიფარგლებოდა. თუმცა, მივხვდით, რომ ეს ყველაფერი ძალიან ცოტაა და გადავწყვიტეთ უფრო მასშტაბური აქცია მოგვეწყო.


პრესკონფერენციაზე

ზაფხულში მივმართეთ სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს, რომლისგანაც მივიღეთ ამომწურავი ინფორმაცია, რის შემდეგ კიდევ უფრო დავრწმუნდით, რომ მეტი შეგვეძლო გაგვეკეთებია მზრუნველობამოკლებული ბავშვებისთვის, რათა საზოგადოებაში ადგილის დამკვიდრება არ გაუჭირდეთ. კარგად გვაქვს გათვითცნობიერებული, რომ ასეთი ბავშვებისთვის ყველაზე რთული პროცესი 18 წლის შემდეგ იწყება, როდესაც ისინი პირველ ნაბიჯებს დგამენ დამოუკიდებელ ცხოვრებაში.


თორნიკე ნიკოლაიშვილი კომპანია „ნატახტარის" მარკეტინგის მენეჯერი

საამისოდ, კომპანიამ მიმართა უფრო კომპეტენტურ პიროვნებებს და ორგანიზაციებს, რის შემდეგ ფონდი შეიქმნა და მისი ინიციატორები „ნატახტართან" ერთად საქართველოს საპატრიარქო და ასოციაცია „ჩემი სახლი – საქართველო" არიან. პროგრამის არსი მდგომარეობს იმაში, რომ მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს ვასწავლოთ დამოუკიდებელი ცხოვრება.

პროექტი უკვე დაწყებულია და 15 ნოემბრიდან 15 თებერვლამდე გასტანს. ამ დროის მანძილზე თითოეული გაყიდული ბოთლიდან შემოსული თანხის ნაწილი გადაირიცხა მზურნველობამოკლებული ბავშვთა დახმარების ფონში. ნახევარლიტრიანი შეფუთვიდან 1 თეთრი, ლირტიანი შეფუთვიდან 3 თეთრი, ხოლო ორლიტრიანი შეფუთვიდან – 5 თეთრი.

რაც შეეხება ჩვენს მოლოდინს: სადღეისო გათვლებით, გადარიცხული თანხა დაახლოებით 100.000 ლარი იქნება, მაგრამ კომპანია ოპტიმისტურად არის განწყობილი და გაცილებით მეტ დახმარებას ფიქრობს. ეს კი დამოკიდებული იქნება საზოგადოებაზე, რომელიც ასევე აქტიურად უნდა ჩაერთოს ამ პროექტში. ცხადია, რაც მეტი იქნება მათი აქტიურობა, მით მეტ დახმარებას შეძლებს კომპანია.

რაც შეეხება გამჭვირვალობას: აქციაში მონაწილე ბოთლები დამზადებული იქნება სპეციალური ლოგოთი, ხოლო შემოსულ და ფონდში გადარიცხულ თანხებს გააკონტროლებს ყველაზე ცნობილი აუდიტორული კომპანია Pრიცეწატერჰოუსე ჩოოპერ.

გარდა ამისა, კომპანია „ნატახტარს" კარგად აქვს გათვითცნობიერებული, რომ მსგავსი აქცია საკმარისი არ იქნება და პრობლემა მარტო 2012 წელს არ მოგვარდება. ამიტომ საჭიროა მეტი მუშაობა ამ მიმართულებით. ჯერჯერობით, ძნელია წინასწარ განვჭვრიტოთ თუ რა სარგებელს მოუტანს ბავშვებს პირველი აქცია, ამიტომ დეტალებზე და სამომავლო გეგმებზე მოგვიანებით ვიმუშავებთ.

**სილვია ბორავეცი:**

– უკვე რამდენიმე წელია გრძელდება პოლონურ–ქართული ურთიერთობები და ჩვენი ასოციაციაც აქტიურად თანამშრომლობს ქართულ მხარესთან. კომპანია „ნატახტარის" იდეა მისასალმებელია, თუმცა არ ვიქნები თავმდაბალი და ვიტყვი რომ მსგავსი აქციები პოლონეთში უკვე კარგა ხანია ტარდება. ჩვენს ქვეყანაშიც დიდი კომპანიები და ფირმები აქტიურად არიან ჩართული მსგავს აქციებში.

სასიამოვნოა, რომ პირველი ნაბიჯები საქართველოშიც გადაიდგა და ჩვენი მიზანია მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს შევუქმნათ ოჯახური ატმოსფერო. ყველა მათგანი უნდა მოერგოს მისთვის სასურველ მომავალს. ყველაფერი ისე უნდა იქნას გაკეთებული, რომ ნათელი შედეგი მივიღოთ.

**ლელა მერაბიშვილი:**

– დიდი მადლობა კომპანია „ნატახტარს", რომელიც საშუალებას აძლევს მზრუნველობამოკლებულ ბაშვებს სიხარული აჩუქოს და სოციუმში თავის დამკვიდრების საშუალება მისცეს.

ამ პროცესში აქტიურად იქნებიან ჩართული სოციოლოგების დიდი ჯგუფი და გარკვეული სასწავლებლები, რომლებიც ასევე აქტიურად დაეხმარებიან ყველა მათგანი ინდივიდუალურად დაკმაყოფილდეს და მათ მომავალ ცხოვრებას კომფორტული პირობები შეუქმნას.

**შალვა კეკელია:**

– მადლობა კომპანია „ნატახტარს", რომელმაც ასეთი ინიციატივა გამოიჩინა. უდიდესი მადლია, როდესაც დახმარების ხელს სხვას უწვდი. ძალიან ძნელია, როდესაც ზრდასრული ადამიანები ნათელი ცხოვრების დაწყებას პრობლემებით ხვდებიან. ამიტომაც იყო, რომ საპატრიარქო და უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე ამ წამოწყებას გულთბილად მიესალმა. როგორც ჩვენი პატრიარქი ბრძანებს, ადამიანებს თევზი კი არ უნდა მივაწოდოთ, თევზაობა უნდა ვასწავლოთ. ასე არის ამ შემთხვევაშიც – პროექტის მიზანია ის ბავშვები, რომელებიც გარკვეული დროის შემდეგ დატოვებენ საბავშვო სახლებს, პრობლემებს კი არ შეეჯახონ, არამედ უზრუნველყოფილი იყვნენ გარკვეული დოზით საზოგადოებაში ადგილის დასამკვიდრებლად.

# საქართველოში სათეატრო კრიტიკოსთა ასოციაცია დაარსდება

ეკა ირემაშვილი

საქართველოში სათეატრო კრიტიკოსთა ასოციაცია დაფუძნდება. ამის შესახებ განცხადება ილიას უნივერსიტეტის ხელოვნების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორმა, პროფესორმა, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორმა ლევან ხეთაგურმა გააკეთა.

– ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის – მსოფლიო თეატრისა და სათეატრო კრიტიკის შემსაწავლელი ცენტრის ინიციატივით შეიკრიბა საქართველოს სათეატრო კრიტიკოსთა ასოციაციის საინიციატივო ჯგუფი. სადაც ვისაუბრეთ იმაზე, რომ 1989 წელს შეიქმნა ხელოვნების ახალგაზრდა კრიტიკოსთა ასოციაცია, რომლის პრეზიდენტიც გახლდათ იგი და ამ ორგანიზაციაში 100-მდე საქართველოში მოქმედი კრიტიკოს-ხელოვნებათმცოდნე იყო გაერთიანებული. ასოციაციამ თავის დროზე მრავალი პროექტი განახორციელა, ისევე როგორც მრავალი კავშირი დაამყარა. დღეს უცხოელი კოლეგები მის განახლებას ითხოვენ ამიტომაც გადავწყვიტეთ, რომ განვაახლოთ ასოციაციის საქმიანობა, როგორც საქართველოს სათეატრო კრიტიკოსთა ასოციაცია და სრულად ჩავრთოთ ახალგაზრდები მის საქმიანობაში, ჩვენ უფროსმა თაობამ კი ჩვენი პროფესიული საქმიანობით ვიზრუნოთ კრიტიკოსთა ავტორიტეტის ამაღლებით და გამოცდილების ურთიერთგაზიარებით, – განაცხადა ლევან ხეთაგურმა.

საინიციატივო ჯგუფის ინიციატივას გამოეხმაურა 20-მდე თეატრის კრიტიკოსი და პირველი შეკრების შემდეგ გადაწყდა, რომ თავმჯდომარის მოვალეობის შესრულება დაევალოს თეატრმცოდნე თამარ მუქერიას, გენერალური მდივნობა ლაშა ჩხარტიშვილს, აღმასრულებელი მდივნობა სოფო ძიძიგურს. სწორედ მათ უნდა მოამზადონ ორგანიზაციის შემდგომი საქმიანობის გეგმა.

– ასოციაცია დაიწყებს ყოველთვიური ელექტრო გზავნილისა და სათეატრო კრიტიკის ელექტრონული ჟურნალის მომზადებას. ამ ასოციაციის შექმნას მხარს უჭერს საქართველოს რეგიონული თეატრების ქსელიც, – აღნიშნა ლევან ხეთაგურმა.

თეატრმცოდნე ლაშა ჩხარტიშვილმა კი ჟურნალისტებს აცნობა, რომ ქართული თეატრის საზღვარგარეთული წარმატებები გრძელდება.

ბაქოში პირველი თოჯინების თეატრების საერთაშორისო ფესტივალში მონაწილეობა მიიღო მულტი პულტი თეატრმა, რომელმაც ქართული ხალხური ზღაპრის „წიქარა“ მსოფლიო თეატრალური პრემიერა გამართა. ფესტივალში ევროპისა და აზიის 14-ზე მეტი ქვეყანა მონაწილეობდა.


ლევან ხეთაგური

მათ შორის თეატრალური დასები დიდი ბრიტანეთიდან, უზბეკეთიდან, უკრაინიდან, ესპანეთიდან, რუმინეთიან, ირანიდან, რუსეთიდან, თურქეთიდან, იორდანიიდან, ესტონეთიდან, ავსტრიიდან, ყაზახეთიდან, ეგვიპტიდან და აზერბაიჯანიდან.

საქართველო, კონკრეტულად კი მულტი-პულტის თეატრის სპექტაკლი, რომლის რეჟისორიც გოჩა ხვიჩიაა, ფესტივალში მონაწილე საუკეთესო სპექტაკლების სამეულში მოხვდა ესპანეთის და თავად აზერბაიჯანის სპექტაკლებს შორის. გოჩა ხვიჩიამ სამსახიობო ფაკულტეტი გიზო ჟორდანიას ხელმძღვანელობით დაამთავრა. ის იყო ბათუმის დრამატული თეატრის მსახიობი. სტაჟირება გაიარა რობერტ სტურუასთან და მონაწილეობდა მის სპექტაკლებში როგორც მსახიობი. შესრულებული აქვს ათამდე როლი. გასული წლიდან არის საშემსრულებლო ხელოვნების თეორიისა და პრაქტიკის მაგისტრანტი. ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალის „ზღვები X“ მინიჭებული აქვს სასცენო მოძრაობის და მულტიმედირი თეატრის ოფიცრის სერტიფიკატი. მულტი-პულტის თეატრი რეჟისორმა გასულ წელს დაარსა და დღემდე მისი სამხატვრო ხელმძღვანელია. სპექტაკლის მხატვარს მარიკა კვაჭაძეს დამთავრებული აქვს ტექსტილის დიზაინის და თეატრის მხატვრის ფაკულტეტები. არის სამხატვრო აკადემიის მაგისტრი სცენოგრაფიის მიმართულებით. თითების თეატრის დაარსების დღიდან ამ წლამდე იყო ამავე თეატრის მსახიობი და მხატვარ-დეკორატორი. სხვადასხვა დროს მუშაობდა მხატვრად ბათუმის, ზუგდიდის და თბილისის თავისუფალ თეატრებში, ასევე ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას. ამჟამად კი მულტი-პულტის თეატრში აგრძელებს მოღვაწეობას.

– გოჩა ხვიჩიას და მულტი პულტის თეატრს ფესტივალის პრიზის გარდა აზერბაიჯანის კულტურისა და სპორტის სამინისტროს სპეციალური პრიზიც გადაეცა და ფესტივალის სიმბოლო – აზერბაიჯანელი ბიჭუნაც ერგო. აღსანიშნავია, რომ ფესტივალის საზეიმო დახურვის პატივი სწორედ „წიქარას“ ერგო. ამასთანავე ქართველთა სპექტაკლის მსოფლიო პრემიერა ბაქოს ყველაზე პრესტიჟულ თეატრალურ სივრცეში – ბაქოს რუსული სახელმწიფო დრამატული თეატრის სცენაზე შედგა, რომლის დარბაზიც სავსე იყო ფესტივალის მონაწილეებით, სტუმრებით და რიგითი ბაქოელებით, – აღნიშნა ლაშა ჩხარტიშვილმა.

მულტი პულტის თეატრის ორგანიზატორებმა ბაქოელ მაყურებელს სიურპრიზიც მოუმზადეს. საქართველოდან ბაქოში ჩატანილ იქნა 500-ზე მეტი ნახატი, რომლებიც ქართველმა ბავშვებმა სპეციალურად ბაქოს თოჯინების თეატრების ფესტივალის მაყურებლებისთვის მოამზადეს.

– სპექტაკლის დასრულების შემდეგ სხვადასხვა ზღაპრის გმირები გამოჩნდნენ სცენაზე, რომლებმაც ამ სიურპრიზის შესახებ ამცნეს მაყურებელს და სცენაზე მიიწვიეს. ყველა მსურველს ერგო საჩუქარი საქართველოდან. ხოლო ფესტივალის ორგანიზატორებს ქართველებმა დიდი ზომის მხატვრული ბანერი გადასცეს, რომელზედაც გამოსახულია ფესტივალის მომავალი ასი წლის შემდეგ, – განაცხადა ლაშა ჩხარტიშვილმა.

ქართული თეატრის უკვე მიღწეული წარმატებების პარალელურად, შემოქმედებითი სიახლეები კვლავაც მრავლადაა. ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრი პრემიერისთვის ემზადება. 22 ნოემბერს წარმოდგენილი იქნება „დედილო კურაჟი და მისი შვილები“, რომელსაც რეჟისორი ზურაბ ცინცაძე ბერტოლტ ბრეხტის პიესის მიხედვით დგამს.

სპექტაკლის დამდგმელი მხატვარია მარინა ფრანგიშვილი, კომპოზიტორი – მინდია ხითარიშვილი, თოჯინების ავტორი და მექანიზმების ოსტატი – გიორგი გოგიტიძე, სიმღერების ტექსტის ავტორი – დალი თედორაძე, გიტარის პედაგოგი – ერეკლე ფირცხალაიშვილი, რეჟისორის თანაშემწე – ნანა თოლორდავა. ახალ წარმოდგენაში მონაწილეობენ ნინო დავითაშვილი (დედა კურაჟი), მინდია ჩოხარაძე (აილიფი), ვანო მაღლაკელიძე (შვაიცარკასი), მერი დიასამიძე (კატრინი), მანანა გოგიტიძე (ივეტა პოტიე), კობა ფაცურია (პოლკის მზარეული), დიმიტრი მელია (მღვდელი).

– სპექტაკლი 50-წუთიანი მუსიკალური დრამაა, რომელიც შერეული ტიპის წრმოდგენას მიეკუთვნება. მასში ცოცხალი და თოჯინური პლანია გაერთიანებული და XVI საუკუნის 30-იანი წლების ომის თემატიკას ასახავს. მთავარი აზრი – ომით გამდიდრების მსურველთა ფინალი – სავალალოა.Mოზარდი მაყურებლისთვის განკუთვნილი დრამა ღრმა იდეურ-თემატური შინაარსით გამოირჩევა, – განაცხადა ლაშა ჩხარტიშვილმა.

# დუტა სხირტლაძე ამღერდა

ეკა ირემაშვილი


დუტა სხირტლაძე

მიუხედავად იმისა, რომ შოუმენი დუტა სცენაზე აქტიურად დგას, თანაც არაერთი ტელეგადაცემის წამყვანია და მისი სამსახიობო როლებიც ქართველ მაყურებელს კარგად ახსოვს, ამჯერად მსახიობმა საესტრადო სცენაზე გადაინაცვლა და ტკბილი ბავშვობა გაიხსენა.

20 წლიანი პაუზის შემდეგ მსახიობმა ბავშვობის მეგობრები შეკრიბა და თელავის განახლებულ თეატრში მათთან ერთად კონცერტიც გამართა. „ღამურების დაბრუნება – ასე ეწოდებოდა კონცერტს, რომელშიც როკი, ჯაზი და ბლუზი ჟღერდა. დუტამ მეგობრებთან ერთად ძველი ჰიტები გაიხსენა და თელავის თეატრში შეკრებილ მაყურებელს უმღერა. ბავშვობის მეგობრებმა თავისი მუსიკალური რეპერტუარი ყოველგვარი ცვლილების გარეშე წარუდგინეს მსმენელს. მეგობრებმა 13 წლის ასაკში დაწერილი სიმღერები შეასრულეს და სცენა სიმბოლურად დაუთმეს ახალგაზრდა თაობის „ღამურების“ წარმომადგენლებს.

ახალი თაობის „ღამურებმა“ საკუთარი სიმღერებიც შეასრულეს და ისიც განაცხადეს, რომ ასეთი მუსიკოსების მემკვიდრეობა მათთვის დიდი პატივია. კონცერტის კულმინაცია და საღამოს დასასრულს დადგა – „ღამურების“ ძველმა და ახალმა თაობამ ბოლო სიმღერა სცენაზე ერთად შეასრულა.

როგორც ცნობილია, დუტა თელავის თეატრის მმართველია. მისი პრიორიტეტი თელავის თეატრისთვის ძველი დიდების დაბრუნებაა. როგორც მსახიობი აცხადებს, ის ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ თელავის თეატრში მაღალი ხარისხის სპექტაკლები იდგმებოდეს, საუკეთესო მსახიობებმა იმუშავონ და რჩეულმა რეჟისორებმა განახორციელონ სპექტაკლები. დუტა ამ საკითხებზე მოლაპარაკებებს თბილისში მოღვაწე ხელოვნებთანაც აწარმოებს. რამდენიმე მსახიობი თბილისიდან უკვე ჩავიდა თელავში და თეატრში მუშაობს. თავად დუტა ამჟამად თელავის თეატრში სპექტაკლზე „სულიკო“ მუშაობს, რომელიც მარჯანიშვილის თეატრში დადგა და ახლა თელავის თეატრში გადაიტანა.

# ამერიკელი ჯარისკაცი ხელისუფლებას ჩაბარდა

მეამბოხე ამერიკელი ჯარისკაცი ათსაათიანი მოლაპარაკების შედეგად ხელისუფლებას ჩაბარდა. მას აშშ-ს სამხედრო-საჰაერო ძალების შრივერის ბაზის ტერიტორიაზე შენობა ხელში ჰქონდა ჩაგდებული.

აღნიშნული ბაზა ქალაქ დენვერიდან (კოლორადოს შტატი) სამხრეთით, 100 კილომეტრში მდებარეობს. 21 წლის სამხედრო მოსამსახურე პისტოლეტით იყო შეიარაღებული, – ინფორმაციას „როიტერი“ ავრცელებს.

ავიაბაზის წარმომადგენლის ჯენიფერ ტიბოს თქმით, ახალგაზრდა, რომელმაც ავიაბაზის უსაფრთხოების სამსახურში დაახლოებით სამი წელი იმუშავა, ჩაიკეტა შენობაში, სადაც თანამშრომლები მორიგეობისთვის ემზადებოდნენ.

მთელი პერსონალი ევაკუირებული იქნა, მაგრამ ბაზის ოპერატიული მოღვაწეობა დარღვევების გარეშე გაგრძელდა. გარე სამყაროსთან ურთიერთობისთვის მცველმა გამოიყენა როგორც მობილური, ასევე შენობაში დამონტაჟებული ხაზის ტელეფონი, – აზუსტებს „სი-ენ-ენი“.

შემთხვევის ადგილზე მივიდნენ ფსიქოლოგები.

ახალგაზრდას ტაბელური იარაღი არ გამოუყენებია და მრავალსაათიანი მოლაპარაკების შედეგად დანებება გადაწყვიტა. მოსამსახურის სახელი და წოდება არ ხმაურდება, მაგრამ ცნობილია, რომ ადრე მასზე საქმე სამოქალაქო სასამართლოში იყო აღძრული, რასაც მისი განთავისუფლება შეიძლება გამოეწვია.

სავარაუდოა, რომ მცველს განწირული ქმედებისკენ სწორედ ამან უბიძგა. აშშ-ს სამხედრო-საჰაერო ძალების შრივერის ბაზა, სამხედრო თანამგზავრების მუშაობაზე კონტროლს ახორციელებს. იგი ჯიპიესის გლობალურ სისტემაში შედის.

**მოამზადა გერა მამულაშვილმა**

## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ტაძრის შიგნით და ეზოში ჩაგვეტარებინა არქეოლოგიური გათხრები. ახალმა აღმოჩენებმა შეცვალა ტაძრის ისტორია. ის, რაც ისტორიულად ცნობილი იყო, დღეს ფაქტითაც დასტურდება — აღმოჩენილ იქნა პირველი ტაძრის საძირკველი და წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახო საძვალე. არქიტექტორების, ხელოვნებათმცოდნეებისა და ისტორიკოსების ჯგუფი მუშაობს ამ საკითხების შესწავლაზე. პარალელურად ბატონ ზუბა კუდავას (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი) ხელმძღვანელობით გამოსაცემად მზადდება წიგნი „ხობის მონასტერი“.

ტაძარში დამონტაჟდა ახალი კანკელი, იწერება ახალი ხატები, გამოიცვალა სარკმლები, დასრულდა იატაკის ფილების დაგება; მიმდინარეობს საპატრიარქო რეზიდენციის მშენებლობა. ტაძარსა და რეზიდენციაში დამონტაჟდა გათბობის სისტემა.

მზადდება პროექტი წმიდა ცოტნე აღმსარებლისა და მისი ოჯახის წევრების საძვალის მოსაწყობად.
დასამზადებელია საეკლესიო ავეჯი; შესაცვლელია განათების სისტემა, ტაძრის ძირითადი კარები.
იმისათვის, რომ შევძლოთ დაწყებული სამუშაოების დასრულება, გვჭირდება თანადგომა.
გახდით მონასტრის მეგობარი.

გვჯერა, თქვენი თანადგომით შევძლებთ გავუფრთხილდეთ წინაპართა დანატოვარს და თავად გავხდეთ ღირსეული წინაპარი.




იცხოვრეთ მომავალისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი. ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ახალი ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი
იღუმენია ანა (მუსელიანი)

## განცხადებები

● სმენის აღდგენა რამდენიმე დღეში, ოპერაციის გარეშე, ასაკის მიუხედავად. დაგვიკავშირდნენ მხოლოდ მკურნალობის ახლავე დაწყების მსურველები. მომავლისათვის მკურნალობის მსურველები დაგვიკავშირდით მხოლოდ მომავალში. მიღება წინასწარი ჩაწერით. ფასი 200-500 ლარამდე. მისამართი: ქ.თბილისი, დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი. ტელ: 551-254-535 ბ-ნი ლევანი.

● სახის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, გამონაყარი (ასაკობრივი, პათოლოგიური) ფერისმჭამელა, ჭარბთმიანობისგან გათავისუფლება უმტკივნეულოდ, ბიომალამოთი, შედეგი 100%. ტელ: 899-96-44-94; 234-02-38 ქ-ნი ექიმი სპეციალისტი სალომე.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 234-02-38 ექიმი ქ-ნი სალომე.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 274-81-41, 571-33-01-61.

# ყოჩები ფინალში პირველი ლიგიდან გავიდა

## ლელო — ყოჩები 9: 5

საქართველოს თასის ნახევარფინალში სენსაცია დაფიქსირდა და უმაღლესი ლიგის ბოლოადგილოსანმა და უკვე პირველ ლიგაში გავარდნილმა თბილისის „ყოჩებმა“, „ლელოს“ ორი მატჩის ჯამში ერთი ქულით აჯობა და 26 ნოემბერს ფინალში თამაში დაიბევა.

მატჩი საკმაოდ უსახური საყურებელი გამოდგა – ორივე გუნდმა უამრავი შეცდომა დაუშვა.

„ყოჩებს“ პირველი მატჩის შემდეგ 5-ქულიანი ჰანდიკაპი ჰქონდათ და ეს უპირატესობა საპასუხო მატჩის დებიუტში კიდევ უფრო მეტად გაზარდეს. მათ მეტოქის ჩათვლის მოედნიდან ხუთ მეტრში კარგი მოლი დააყენეს, მათი შეჩერება „ლელომ“ ვერ მოახერხა და ბურთი მეტოქის ჩათვლის მოედანში გიორგი ხოსიტაშვილმა დაამიწა. შავლეგ მახარაშვილმა რეალიზაცია ვერ გამოიყენა.

ამის შემდეგ ინიციატივას „ლელო“ დაეუფლა. ლელოელები მოედნის მეტოქეთა ნახევარზე „დაბანაკდნენ“, მაგრამ იერიშები ლოგიკურ დასასრულამდე ვერ მიყავდათ, რადგან გადამწყვეტ მომენტში სცოდავდნენ.

სხვაობის შემცირების შანსი ირაკლი ყიასაშვილს პირველად მე-15 წუთზე მიეცა მაგრამ ჯარიმა არაზუსტად დაარტყა. ტაიმის შუაწელს ნონო ანდღულაძემ „ყოჩების“ დაცვის ხაზი გაჭრა, მაგრამ ამ კარგ შეტევას ლელო არ მოყოლია, ბოლო მომენტში მეტოქემ დაცვის დალაგება მოახერხა, მაგრამ მსაჯმა მასპინძლებს ჯარიმის უპირატესობა დაუბრუნა და თანაც წესების განზრახ დარღვევისთვის დამცველ გუნდს მორაგბე გაუსინბინა. ყიასაშვილმა ახლო მანძილიდან ბურთი ძელებსშუა გააძვრინა – 3:5. ცოტა ხანში გუნდებმა უზუსტო ჯარიმები გაცვალეს, 36-ე წუთზე კი, „ლელომ“ რამდენიმეფაზიანი შეტევა წამოიწყო, მაგრამ ცუდი გაგრძელება მოიფიქრეს და სალელოვე შანსიც დაიკარგა.

ამას „ყოჩების“ მხრიდან ჯარიმის დარტყმა მოყვა, თუმცა ხელსაყრელი სიტუაციიდან ბურთი კარს ააცილეს. ზედ შესვენებამდე, ჯარიმის შესრულების უფლება უკვე „ლელომ“ მიიღო, ყიასაშვილმა 45 მეტრიდან ზუსტად დაჰკრა და „ლელომ“ ტაიმი 6:5 მოიგო.

ყიასაშვილმა თავისი მესამე ჯარიმა მეორე ნახევრის დასაწყისშივე გამოიყენა და ორი მატჩის ჯამში ჩამორჩენა მინიმუმამდე დაიყვანა. მალე მას კიდევ ერთხელ მიეცა ჯარიმის გატანის შესაძლებლობა, მაგრამ 50 მეტრიდან ბურთმა კარამდე ვერ მიაღწია. 57-ე წუთზე, ჯარიმა უკვე „ყოჩებმა“ შეასრულეს, დარტყმა ირაკლი გეგენავამ განახორციელა და მიზანმა უმტყუნა. სამიოდე წუთში, 42 მეტრიდან ჯარიმა არაზუსტად შეასრულა ყიასაშვილმაც. ამას „ლელოს“ იერიში მოყვა, ლექსო გუგავამ ხაზი გაჭრა, მაგრამ ჩათვლის მოედნამდე ვერ მიაღწია. 70-ე წუთზე, „ლელოს“ კონტრშეტევა „ყოჩების“ დაჯარიმებით დასრულდა, მაგრამ 22 მეტრიდან, ხელსაყრელი სიტუაციიდან ყიასაშვილს მიზანმა კვლავ უმტყუნა. ხუთიოდე წუთში, „ყოჩების“ მხრიდან ჯარიმის შესრულება უკვე გიგი გაბუნიამ ითავა, მაგრამ კარის გასწვრივ 22 მეტრიდან ასპროცენტიანი შანსი გააცუდა და ამისათვის, შესაძლოა, მისი გუნდი დასჯილიყო, თუმცა, 77-ე წუთზე, ხელსაყრელი სიტუაციიდან ჯარიმა უკვე „ლელომ“ ვერ გამოიყენა და 9:5 კი იმარჯვა, მაგრამ ეს ფინალში გასასვლელად საკმარისი არ აღმოჩნდა.

# პლატინიმ ისევ მესი ახსენა


მიშელ პლატინი

უეფას პრეზიდენტი მიშელ პლატინი არასდროს ერიდება ჟურნალისტებთან საუბარს და ასე მოხდა ამჯერადაც მილანში, სადაც სპეციალური პრესკონფერენციაც კი გამართა და უამრავ საინტერესო საკითხზე ისაუბრა. თუმცა, ახალი ტექნოლოგიების დაგეგმვას ფეხბურთში ისევ ეწინააღმდეგება.

— უკრაინა და პოლონეთი ევროპის ჩემპიონატის ღირსეულად სამასპინძლოდ მშვენივრად არიან მომზადებულნი. სტადიონები ბრწყინვალედ გამოიყურება. იმისთვის, რომ ჩემპიონატი კიდევ უფრო კომფორტული გახდეს, კიდევ ბევრი პროექტი რეალიზაციის სტადიაშია. თუმცა, როდესაც ამ საკითხზე ვმსჯელობთ, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამ ქვეყნებმა ძალიან მძიმედ გადაიტანეს მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი. ერთადერთი საკითხი, რომელიც სხვებზე მეტ ყურადღებას მოითხოვს ჩვენგან, ეს გულშემატკივართა განთავსებაა. დარჩენილ რვა თვეში ამ პრობლემის ძირეულად აღმოფხვრა ძალიან ძნელი იქნება. რაც შეეხება ტექნოლოგიურ ნოვაციებს, ვფიქრობ, რომ მსაჯები კარის ხაზთან მშვენიერი იდეა იყო. ჩემპიონთა ლიგაში ამ ნოვაციამ პოზიტიური შედეგები მოიტანა. ნამდვილად არ ვიცი, მიიღებენ თუ არა გადაწყვეტილებას, რათა ხუთმა არბიტრმა იმსაჯოს სხვა დიდ ტურნირებშიც. ვერაფრით ვხვდები, რატომ არ მოსწონს ეს იდეა ზეპ ბლატერს. იმიტომ ხომ არა, რომ ეს იდეა მას არ ეკუთვნის? ფეხბურთში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის კატეგორიულ მოწინააღმდეგედ ვრჩები. ჩემი ამ პოზიციის შესახებ ყველას მოგეხსენება. ვიდეოგამეორებებს ნამდვილად მირჩევნია, გადაწყვეტილება ისევ ადამიანმა მიიღოს. თუმცა მიმაჩნია, რომ არბიტრებმა ბევრად უფრო მეტი დახმარება უნდა მიიღონ თანაშემწეებისგან, ვიდრე ეს ახლა ხდება. მგონია, რომ ფეხბურთში ერთი მსაჯი საკმარისი უკვე აღარ არის.

პრესკონფერენციის ბოლოს კი პლატინიმ ლამის დარწმუნებულმა თქვა, „ოქროს ბურთს“ ლიონელ მესი მოიგებსო:

— მიმაჩნია, რომ „ოქროს ბურთის“ ყველაზე ღირსეული მფლობელი ისევ ლიონელ მესია. ის ჩემს მიღწევას (თავად პლატინი 1983-84-85 წლებში ზედიზედ სამჯერ დასახელდა მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად) აუცილებლად გაიმეორებს. მერე, ალბათ, ამასაც არ დასჯერდება და აუცილებლად გააუმჯობესებს.

# შედეგები

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

| | |
|---|---|
| ტოტენჰემი-ასტონ ვილა | 2:0 |

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

| | |
|---|---|
| რასინგი-მალაგა | 1:3 |

**იტალია. სერია ბ**

| | |
|---|---|
| ალბინოლეფე-რეჯინა | 1:1 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| ბოხუმი-კოტბუსი | 0:1 |

**თურქეთი. სუპერლიგა**

| | |
|---|---|
| ბურსა-სამსუნი | 1:0 |

**ჩეხეთი. გამბრინუსლიგა**

| | |
|---|---|
| ბოჰემიანსი 1905-სპარტა | 0:4 |

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

| | |
|---|---|
| პოდბესკიჟიე-ლეხი | 0:0 |

**დანია. სუპერლიგა**

| | |
|---|---|
| ორხუსი-სილკებორგი | 0:2 |

**არგენტინა. აპერტურა**

| | |
|---|---|
| ლანუსი-არსენალი | 0:1 |

**ფრენბურთი**

**მსოფლიო თასი**

| | |
|---|---|
| ჩინეთი-ეგვიპტე | 0:3 |
| სერბეთი-ირანი | 2:3 |
| ბრაზილია-იტალია | 2:3 |
| პოლონეთი-არგენტინა | 3:1 |
| კუბა-იაპონია | 3:0 |
| რუსეთი-აშშ | 3:0 |

**ჩოგბურთი**

**ატპ. შემაჯამებელი ტურნირი**

| | |
|---|---|
| მიურეი-ფერერი | 4:6;5:7 |
| ჯოკოვიჩი-ბერდიხი | 3:6;6:3;7:6 |

**ჰოკეი**

**ნჰლ. რეგულარული ჩემპიონატი**

| | |
|---|---|
| ვაშინგტონი-ფინიქსი | 4:3 |
| კოლამბუსი-კალგარი | 4:1 |
| პიტსბურგი-აილენდერსი | 5:0 |
| ფილადელფია-კაროლინა | 2:4 |
| მონრეალი-ბოსტონი | 0:1 |
| ფლორიდა-ნიუ ჯერსი | 4:3 |
| დალასი-ედმონტონი | 4:1 |

*მოამზადა მიხეილ ქორქოლიანმა*

# გიორგი დევდარიანი: „მე არა — ჩვენ“


გიორგი დევდარიანი

საქართველოს 19 წლამდე ფეხბურთელთა ნაკრებმა ელიტ-რაუნდში თამაშის უფლება მოიპოვა. თურქეთიდან დაბრუნებულმა მთავარმა მწვრთნელმა გიორგი დევდარიანმა გუშინ პრესკონფერენცია გამართა და აღნიშნა, რომ მისი გუნდის თამაშით კმაყოფილი დარჩა.

**გიორგი დევდარიანი:**

— ციფრებითაც კარგად მეტყველებს, რომ გუნდმა სანახაობრივი და დამაჯერებელი ფეხბურთი აჩვენა. პირველი ადგილი გვეკუთვნოდა — სამივე თამაშში მეტოქესთან საგრძნობი უპირატესობა გვქონდა და შემდეგ ეტაპზე დამსახურებულად გავედით.

***— რამდენად მიზანშეწონილად მიგაჩნიათ, მწვრთნელი ასაკობრივ ნაკრებს ფეხბურთელების ასაკის მატებასთან ერთად მიჰყვებოდეს?***

— ზოგადად ასეთი მეთოდი მიღებული არ არის, რომ მწვრთნელმა 16 წლამდე ასაკის ფეხბურთელებთან დაიწყოს მუშაობა და მათ ეროვნულ ნაკრებამდე მიჰყვეს. თუმცა, თუ გუნდი სანახაობრივ ფეხბურთს და იმ შედეგს აჩვენებს, რაც ქვეყანას სჭირდება, მაშინ გამართლებულია. იმით, რომ მე ამ ნაკრებთან სხვადასხვა ასაკში მომიწია მუშაობა, მგონი, არაფერი დაშავებულა. ჩემზე უკეთ ამ ფეხბურთელების შესაძლებლობას არავინ იცნობს. შორს ვარ იმ აზრისგან, რომ რაიმე გადატრიალება მოვახდინეთ. თუმცა, ყველაფერს დიდი შრომა უძღოდა, რაც 2008 წელს დავიწყეთ. არ შეიძლება, არ ავღნიშნო ფეხბურთის ფედერაციის ძველი ხელმძღვანელობისა და „იბერია ბიზნეს ჯგუფის“ დიდი როლი, რომლებიც დაგვეხმარნენ, ეს ტექნოლოგიები დაგვენერგა და ექსპერიმენტი ჩაგვეტარებინა. ასევე, ხელი ამჟამინდელმა ფედერაციამაც შეგვიწყო. საუბარია საფეხბურთო მეთოდიკაზე. პირველად ეს პროგრამა 1985 წელს დაბადებულ ბავშვებში განხორციელდა, ხოლო შემდეგ — 1993 წელს დაბადებულებში. კერძოდ, საუბარია ოთხწლიან ციკლზე, რომელიც ყოველ წელს, ზამთარში და ზაფხულში 8-კვირიან მოსამზადებელ პერიოდს შეიცავს. ამ პრაქტიკამ გამარჯვების სიხარული მოგვიტანა და იმედია, ამას დიდი ფინანსებიც მოჰყვება. ეს პროექტი მომავალში განხორციელდება თუ არა, დრო გვიჩვენებს.

***— ტურნირზე ყველაზე რთული თამაში რომელ გუნდთან გქონდათ?***

— პოლონეთთან, რადგან მეტოქის შესახებ წარმოდგენა არ გვქონდა. მხოლოდ ის ვიცოდით, რომ სავარაუდოდ, 4-4-1-1 ტაქტიკით თამაშობდნენ. არ გაგვაჩნდა ინფორმაცია, როგორი ფეხბურთელები ჰყავდათ, თავს როგორ იცავდნენ ან როგორ უტევდნენ. პლუს, პოლონეთთან ტურნირის პირველ მატჩს ვატარებდით, რასაც თავისი დაძაბულობა ახლდა. შემდეგ უფრო გაგვიადვილდა, რადგან თურქეთისა და ლუქსემბურგის თამაშების ვიდეოჩანაწერი გვქონდა. ის ანგარიში, რაც თურქებთან მატჩში დაფიქსირდა, რეალობას არ ასახავს, რადგან უპირატესობა ჩვენს მხარეს იყო.

***— თქვენს გუნდს გამარჯვებულის მენტალიტეტი თუ აქვს, რაც საქართველოში იშვიათობაა?***

— ამ ბიჭებს გამარჯვებულის ფსიქოლოგია ნამდვილად აქვთ. ეს თუნდაც თურქეთთან ვერმოგებულ მატჩშიც გამოჩნდა. ნებისმიერი კმაყოფილი იქნებოდა თურქებთან მათ მოედანზე შეხვედრის ფრედ დასრულებით, რასაც საკუთარ თავზე, სტაფზე და ფეხბურთელებზე ვერ ვიტყვი. ასეთი მენტალიტეტის ჩამოყალიბებას დრო უნდა და ეს ჩემს მიერ ნახსენები პროქტის ნაწილია. მინდა მადლობა გადავუხადო სოსო ჭედიას და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას, რადგან 10 ნოემბერს ახალგაზრდულ ნაკრებს თამაში შვეიცარიასთან ჰქონდა და რამდენიმე ფეხბურთელი დაგვითმეს. ამით დიდი სამსახური გაგვიწიეს. საერთოდ, საჭიროა „მე“-ს უარყოფა და წინ უნდა წამოვიდეს „ჩვენ“. თუ ეს მოვახერხეთ, ნებისმიერი ქართული გუნდი წინ წაიწევს. ჩვენს შემთხვევაში, ეს გავაკეთეთ და მინდა მოთამაშეებს მადლობა გადავუხადო, განსაკუთრებით ლეგიონერებს, რომელთაც უფრო უჭირთ ამ „მე“-ს უარყოფა.

***— თურქეთში გუნდმა საკუთარი რესურსი სრულად ამოწურა თუ კიდევ აქვს მომატების პოტენციალი?***

— ვფიქრობ, რომ ბევრად უკეთესად თამაში შეგვიძლია. გუნდს განვითარების რესურსი ნამდვილად გააჩნია. 28 ნოემბერს ელიტ-რაუნდის კენჭისყრა ჩატარდება და მეტოქეები გვეცოდინება. მხოლოდ ამის შემდეგ დავგეგმავთ რამდენიმე ამხანაგურ მატჩს. ზამთრის მოსამზადებელი პერიოდი მოდის და რამდენად ნაყოფიერად გავივლით მას, ამაზე ბევრი იქნება დამოკიდებული.

***— ჯგუფის ბოლო მატჩში ლუქსემბურგის წინააღმდეგ დისკვალიფიკაციის გამო არ უთამაშია გიორგი ჭანტურიას, რომელმაც ორ მატჩში ორი ყვითელის ბარათის მიღება მოასწრო. ის არასათამაშო სიტუაციაში გააფრთხილეს თუ პირიქით, ფეხბურთელის ზედმეტმა მონდომებამ გამოიწვია „ყვითლები“?***

— ამდენი მადლობა რომ ვთქვი, იმითაც არის გამოწვეული, რომ ფეხბურთელებმა პირადი ემოციები უკანა პლანზე გადადეს. ჭანტურია სათამაშო სიტუაციებში გააფრთხილეს. სხვათა შორის, რამდენჯერმე ჩვენს მოთამაშეებს ყვითელი ბარათი დაუმსახურებლად მისცეს.

***— რამდენად მოახერხებთ ამხანაგური თამაშების ჩატარებას? გუნდს ფაქტობრივად წელიწადნახევარიანი პაუზა ჰქონდა და ძალიან ცოტა მატჩი გამართეთ.***

— ის, რომ საქართველოს ნაკრებს პოლონეთთან გამარჯვებისთვის ტოტალიზატორებში ძალიან მაღალი კოეფიციენტი ეწერა, ჩვენთვის შეურაცხმყოფელი იყო. ამისთვის საკადრისი პასუხი უნდა გაგვეცა. თუმცა, ეს შეფასება იმით იყო გამოწვეული, რომ ტურნირამდე პოლონეთის ნაკრებს 15 საერთაშორისო ამხანაგური თამაში ჰქონდა ჩატარებული, ხოლო ჩვენ — 3. სწორედ ამიტომ ანიჭებდნენ პოლონელებს უპირატესობას. ამხანაგურ თამაშებს აუცილებლად დავგეგმავთ.

# „სოხუმს“ ახალი მწვრთნელი ჰყავს

საკალათბურთო კლუბ „სოხუმის“ ვებგვერდის ცნობით, გუნდის ახალ მთავარ მწვრთნელად ცნობილი ლიტველი სპეციალისტი რიმვიდას სამულენასი დაინიშნა. ეს გადაწყვეტილება კლუბის მფლობელმა და პრეზიდენტმა მინდია გულუამ მიიღო კლუბის სასწავლო-სავარჯიშო პროცესის გაუმჯობესებისა და კლუბის სათამაშო ხარისხის გაზრდის მიზნით, კლუბისა, რომელიც საქართველოს თასზე და ჩემპიონატში წარმატებისათვის იბრძვის. სამულენასი თბილისში გუშინ ჩამოვიდა.

„სოხუმის“ მთავარი მწვრთნელის პირველი ასისტენტი გახდა ვაჟა კვარაცხელია, რომელიც 1995-2010 წწ. კლუბის მთავარი მწვრთნელი იყო და 2011 წლის 1 ნოემბრიდან დროებით ასრულებდა მთავარი მწვრთნელის მოვალეობას. რიმვიდას სამულენასის მეორე ასისტენტად 90-იანი წლების მიწურულს სოხუმის „კოლხას“ ყოფილი კალათბურთელი და კაპიტანი გიორგი ბენდიანიშვილი იმუშავებს.

სამულენასი მწვრთნელად 1999 წლიდან მუშაობს. მისი კარიერიდან ბოლო წლებია გამოსარჩევი: 2008-2010 – ლიტვის 20 წლამდე ახალგაზრდული ნაკრები გუნდის მთავარი მწვრთნელი, 2010-2011 – კლუბ „კაუნასის“ მთავარი მწვრთნელი, 2011 წელი – ლიტვის სტუდენტური ნაკრები გუნდის მთავარი მწვრთნელის ასისტენტი მსოფლიო უნივერსიადაზე ჩინეთში.

# პოლიციამ ქოლგის მსროლელი დააკავა

ესპანეთის ნაციონალურმა პოლიციამ 15 წლის მოზარდი დააკავა, რომლის გამოც ესპანეთის ჩემპიონატის მე-13 ტურში „გრანადასა“ და „მალიორკას“ შორის მატჩი 63 წუთზე შეჩერდა.

დაკავებული მაროკოს მოქალაქეა, რომელიც ესპანეთში მშობლების გარეშე ჩამოვიდა და აღნიშნული მატჩის დროს არბიტრს, ხავი აგილარს ქოლგა ესროლა. მოხვედრილი ქოლგის შედეგად არბიტრს სახიდან სისხლი წამოუვიდა. ხულიგნური საქციელის შემდეგ ახალგაზრდა ბიჭმა სტადიონი დატოვა. აღსანიშნავია, რომ ხულიგანის პოვნაში პოლიციის თანამშრომლებს მისივე 17 წლის მეგობარი დაეხმარა, რომელიც სამართალდამცველებს თანამშრომლობაზე დათანხმდა.

„გრანადას“ პრეზიდენტმა კიკე პინამ დაგმო მაყურებლის ასეთი საქციელი და ესპანური პრესისთვის მცირე განმარტებაც გააკეთა:

— ვწუხვართ მომხდარის გამო, მაგრამ სამწუხაროდ, ასეთ ქმედებებს ვერ ვაკონტროლებთ. ეს იყო არასრულწლოვანი მაროკოელი, რომელიც ჩვენი ქომაგთა კლუბის წევრი არ არის.

შეგახსენებთ, რომ მატჩი იმ დროს შეწყდა, როდესაც „გრანადა“ 2:1-ს იგებდა და გავრცელებული ინფორმაციით, რომელიმე უახლოეს დღეს გაიმართება და არბიტრი მას 64-ე წუთიდან გააგრძელებს.



# კროსვორდი

**შვეულად**: 1. ცირკის მომთვინიერებელთა გრძელი შოლტი; 2. დაბალი რანგის დიპლომატიური წარმომადგენელი; 3. ჯინის გასაზავებელი უალკოჰოლო გაზიანი სასმელი; 4. ბუდისტთა მღვდელი ჩინეთსა და იაპონიაში; 5. ოპტიკური მოვლენა ატმოსფეროში; 11. ფრანგული საიუველირო ფირმა; 12. ფარული დაცინვა; 14. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკური, ბოჭკოვანი მცენარე; 16. ხმელთაშუა ზღვისპირა საკურორტო ზონა იტალიასა და საფრანგეთში; 17. უძველესი ქართული სამეფო; 19. ადამიანის ფსიქიკური და ფიზიკური მოქმედების სრული დაქვეითება, უუნარობა; 21. მე-16 საუკუნის ქართველი ოქრომჭედელი; 22. დაბალი, გრძელტანიანი მონადირე ძაღლის ჯიში.

**თარაზულად**: 6. ვენეციური წყლის ტრამვაი; 7. რაიმე რიცხვის მეათასედი ნაწილი; 8. მინერალური წყალი იმერეთში; 9. ციური სხეულების სამოძრაო გზა; 10. ცხენებშებმული ტრამვაი ძველ თბილისში; 13. ბანქოს თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 15. ცნობილი ამერიკელი ზანგი ჯაზმენი; 18. ქალის სასიმღერო ხმის შუათანა რეგისტრი; 20. აეროპორტი პარიზში; 21. ქალის უთითო ხელთათმანი; 23. წალკის ძველი სახელწოდება; 24. სათამაშო კოჭის ერთ-ერთი მხარე.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

# ირანში და ლიბანში აშშ-ს ჯაშუშური ქსელი გაშიფრეს

თეირანსა და ბეირუთში ამერიკული „ცსს“-ს (ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო) ჯაშუშური ქსელის გაშიფვრის შემდეგ, დაკავებული აგენტების სიცოცხლე საფრთხეშია.



ინფორმაციის რამდენიმე მთავარი წყაროს დაპატიმრების გამო, ამერიკულმა დაზვერვამ ბეირუთში მისიის მუშაობა შეაჩერა, – ინფორმაციას „ნიუსრუ ისრაელი“ „ლოს ანჟელეს ტაიმსზე“ დაყრდნობით ავრცელებს.

„ეი-ბი-სის“ მონაცემებით, „ცსს“-ს ჯაშუშური ქსელი აღმოჩენილია არა მარტო ლიბანში, არამედ ირანშიც.

ამერიკული დაზვერვა ლიბანს სირიაზე და ტერორისტულ დაჯგუფებებზე მონაცემების შეგროვებისთვის იყენებდა.

– ბეირუთი თამაშიდან გამოვიდა, – განაცხადა გაზეთის წყარომ და დაამატა, რომ 12 ღირებული ჯაშუში-ინფორმატორი კომპრომეტირებული აღმოჩნდა.

წყარომ გაზეთს განუცხადა, რომ მზვერავები „თანამშრომლებს“ ცნობილ პიცერია „ჰეზბოლაჰში“ ხვდებოდნენ. ლიბანელებს ასევე მისცეს მობილური ტელეფონები, რომლებსაც მხოლოდ „ცსს“-სთან კავშირისთვის იყენებდნენ. ლიბანურმა დაზვერვამ ამ საუბრების დაჭერა მოახერხა.

გაზეთი აღნიშნავს, რომ ამერიკულმა კონტრდაზვერვამ „ცსს-ს“ ლიბანური წარმომადგენლობა მსგავსი პრაქტიკის საფრთხეზე წინასწარ გააფრთხილა, მაგრამ მისიის მეთაურმა თითქოსდა უპასუხა, რომ ლიბანელები აშშ-ს მეგობრები არიან და მათზე დაყრდნობა შესაძლებელია.

ამერიკული ადმინისტრაციის წარმომადგენლები ამ ინფორმაციას უარყოფენ. აღსანიშნავია, რომ ლიბანში წარმომადგენლობის ყოფილი ხელმძღვანელი ამასწინათ „ცსს“-ს შტაბბინაში გადაიყვანეს, სადაც „ჰეზბოლაჰის“ წინააღმდეგ მოქმედებას აკონტროლებს.

ასევე ვრცელდება ინფორმაცია, რომ დაჭერილი ჯაშუშების სიცოცხლე საფრთხეშია. „ცსს“-ს ყოფილმა თანამშრომელმა რობერტ ბაერმა აღნიშნა, რომ ლიბანური „ჰეზბოლაჰი“, როგორც წესი, ფარულ ჯაშუშებს სასტიკად უსწორდება.

აღსანიშნავია, რომ ორი ჯაშუშური ქსელი ერთმანეთისგან დამოუკიდებლად გაიშიფრა. ერთ-ერთი მათგანი ისრაელთან მიმართებაში „ჰეზბოლაჰის“ გეგმებზე მონაცემებს აგროვებდა, ხოლო მეორე ირანის ბირთვულ პროგრამაზე მუშაობდა.

ლიბანური ქსელი ორმა ორმაგმა აგენტმა გაშიფრა, რომლებმაც „ცსს“-სთან თანამშრომლობის სურვილი გამოთქვეს, მაგრამ ამასთან „ჰეზბოლაჰის“ დავალებებსაც ასრულებდნენ. მალე ტერორისტებმა გამოარკვიეს, რომელ რესტორანში ხვდებოდნენ „ცსს“-ს ჯაშუშები მონაცემების გასაცვლელად და ათზე მეტი ინფორმატორის და რამდენიმე ამერიკელი მზვერავის პიროვნება გაშიფრეს. ირანის სპეცსამსახურებმა ასევე ათზე მეტი ფასიანი ინფორმატორის ვინაობა დაადგინეს.

**მოამზადა გერა მამულაშვილმა**

# გაზის გაყვანას შესაძლებელია შეიარაღებული კონფლიქტი მოჰყვეს

**კასპიის ზღვის გავლით ევროპისაკენ ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირებისათვის დაწყებული კონკურენცია კასპიის ზღვაზე შეიარაღებულ კონფლიქტში შეიძლება გადაიზარდოს.**

როგორც გაზეთი „ნეზავისიმაია გაზეტა“ აღნიშნავს, თურქმენეთიდან აზერბაიჯანისაკენ ტრანსკასპიური გაზსადენის გარშემო ატეხილი კონფლიქტი, რომლის მიზეზადაც რუსეთი მისი ინტერესების იგნორირებას მიიჩნევს, ძალისმიერ დაპირისპირებაში შეიძლება გადაიზარდოს.

აზერბაიჯანი და თურქმენეთი აცხადებენ, რომ გაზსადენი ორი ქვეყნის ტერიტორიულ წყლებში გაივლის და ამიტომ კასპიის ზღვის სხვა სახელმწიფოებს უფლება არ აქვთ უკარნახონ აშხაბადისა და ბაქოს, თუ რისი გაკეთება შეუძლიათ მათ საკუთარ ტერიტორიულ წყლებში და რისი არა.

ამ პოზიციას არ ეთანხმება რუსეთი, რომელიც კასპიის ზღვის „ეროვნულ სექტორებად“ Dდაყოფის წინააღმდეგია. ასეთ სექტორებად დაყოფა, რუსეთის განცხადებით, პირობითია, რადგან კასპიის ზღვის ნაპირებზე გამავალ არც ერთ ქვეყანას ჯერ არ მიუღია ჩარჩო ხელშეკრულება, რომელიც ზღვის სამართლებრივ სტატუსს განსაზღვრავს.

თავისი სიტყვის თქმა სურს ევროკავშირსაც, რომელიც რუსეთისაგან მოითხოვს, ხელი არ შეუშალოს ამ პროექტს და წინააღმდეგ შემთხვევაში პროექტ „იუჟნი პატოკის“ შეჩერებით იმუქრება.

ამასთან, ექსპერტების ერთი ნაწილი ვარაუდობს, რომ შესაძლოა, რუსეთი თავისი ინტერესების დაცვის დროს მხოლოდ დიპლომატიურ მეთოდებს არ დასჯერდეს და კასპიის ზღვაზე ომი გარდაუვალი შეიძლება გახდეს.

ექსპერტების ვარაუდით, რუსეთმა 2008 წელს საქართველოს წინააღმდეგ მიმართული სამხედრო ოპერაციის მეთოდი შეიძლება აირჩიოს და ავიადარტყმების საშუალებით სცადოს აიძულოს მეზობლები, მისი პოზიცია გაითვალისწინონ.

**მოამზადა გენადი თვაურმა**

# ლიბიას გენპროკურორი ეწვია

კადაფის ვაჟის, სეიფ ალ ისლამის დაპატიმრებასთან დაკავშირებით ლიბიას ეწვია სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს გენერალური პროკურორი ლუის მორენო-ოკამპო.

საერთაშორისო სასამართლომ ლიბიის ომის დაწყების შემდეგ კადაფის ვაჟის სახელზე სამხედრო დანაშაულის ჩადენის ბრალდებებით დაპატიმრების ორდერი გასცა.

შეიფ ალ-ისლამი შაბათს ლიბიის სამხრეთით დააკავეს. ერთი დღის შემდეგ ლიბიის ეროვნული გარდამავალი საბჭოს წევრებმა გაავრცელეს ინფორმაცია კადაფის დაზვერვის ყოფილი ხელმძღვანელის, აბდულა ალ-სენუსის დაპატიმრების შესახებ.

ლიბიაში გენპროკურორის ვიზიტი ქვეყანაში დროებითი მთავრობის ფორმირების ფონზე მიმდინარეობს. Gგარდამავალმა მთავრობამ ქვეყნის კონსტიტუციის პროექტი უნდა მოამზადოს, გარდა ამისა, რვა თვის განამვლობაში დემოკრატიული არჩევნები უნდა ჩაატაროს.

მთავრობის მომავალმა ხელმძღვანელმა აბდელ რაჰიმ ალ კიბმა განაცხადა, რომ ახალ კაბინეტში ლიბიის ყველა რეგიონის დეპუტატები იქნებიან წარმოდგენილი. ეროვნული გარდამავალი საბჭო კადაფის წინააღმდეგ გაერთიანებულ სხვადასხვა პოლიტიკურ მიმდინარეობებს და პარტიებს წარმოადგენს. ლიბიის დიქტატორი მიმდინარე წლის 20 ოქტომბერს მშობლიურ ქალაქ სირტში მოკლეს.




Dდელეგაციას, რომელიც ლიბიას ეწვია სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს გენპროკურორი ლუის მორენო-ოკამპო და მისი მოადგილე ფატუ ბენსუდა ხელმძღვანელობენ.

გარდამავალმა საბჭომ უკვე გამოაცხადა, რომ კადაფის ვაჟს ლიბიაში გაასამართლებენ.

კვირას გავრცელდა ინფორმაცია კადაფის სიძისა და დაზვერვის ყოფილი ხელმძღვანელის, აბდულა ალ-სენუსის დაპატიმრების შესახებ. იგი ქვეყნის სამხრეთით, დის სახლში აიყვანეს.

**მოამზადა გენადი თვაურმა**




## კროსვორდი ბ

**შვეულად**: 1. პირველი შვილი; 2. ტაძარი თბილისში; 3. ავტოდრომი მილანის მახლობლად; 5. ციხე-სიმაგრე ზუგდიდის რაიონში; 6. სვან მამაკაცთა ცეკვა; 8. ყოველდღიური გაზეთი იტალიაში; 11. ქართველ მწერალ გიორგი ახვლედიანის ლიტერატურული ფსევდონიმი; 13. მოდური სიმღერა; 14. ჩქარტემპიანი უნგრული ცეკვა; 15. სომეხთა მღვდელი; 19. იაპონური ელექტროტექნიკური კონცერნი.

**თარაზულად**: 1. ტბა საქართველოში; 4. პრივილეგირებული წოდების წარმომადგენელი ძველ რომში; 7. რადიაქტიური ქიმიური ელემენტი; 9. სხვადასხვა ქსოვილის ნაკუწებისგან შეკერილი ტანსაცმელი; 10. ერთუჯრედიანი, მიკროსკოპიული ცხოველი; 12. უალკოჰოლო, გამაგრილებელი სასმელი; 16. პირველი ქართველი მეტალურგი ქალი; 17. მამლების ჩხუბი; 18. ალპებში გავრცელებული თეთრყვავილოვანი, ბალახოვანი მცენარე; 20. ღრმა ძილის მდგომარეობა; 21. ირლანდიის ისტორიული სახელწოდება; 22. ავტონომიური ოლქი ესპანეთში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. ნუმიზმატი; 2. ვაქცინა; 3. სენატი; 4. ლვოვი; 5. პლევრა; 11. პორტიე; 12. ზეკარი; 14. კები; 16. კანბერა; 17. გრილიაჟი; 19. სტანიცა; 21. პლაცი; 23. ხვატი.

**თარაზულად:** 6. აუტოდაფე; 7. გავიალი; 8. „ვოლვო“; 9. აზარტი; 10. ტროპი; 13. სტეკი; 15. სკეპტიკოსი; 18. ნეკრესი; 20. რალი; 21. პერესი; 23. ტახიკარდია; 24. ჟუდეცი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. „პოპოლო“; 2. ომლეტი; 3. კოქტო; 5. დოლი; 6. კრეიგი; 8. სიესტა; 11. ანჩისხატი; 13. კნესეტი; 14. კოკაინი; 15. „ფილიპსი“; 19. თუნი.

**თარაზულად:** 1. პინაკოთეკა; 4. ბოტდეკი; 7. პორტალი; 9. ტრუიზმი; 10. პაქტი; 12. აისბერგი; 16. ლაგოდეხი; 17. ვერსალი; 18. პალეოლითი; 20. ტავერნა; 21. გირი; 22. „ბახთიარი“.

## ყველამ გაითვალისწინეთ! ეს დღე მშვიდად ჩაივლის

## ასტროპროგნოზი 23 ნოემბრისთვის

**ვერძი** – ფულის პრობლემა არ გაქვთ, მთავარია არ გაფლანგოთ. **კურო** – სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ტყუპები** – სახლში დიდი შენაძენი გელით. **კირჩხიბი** – ახალი გამოცდილება და ახალი სიტუაცია გჭირდებათ. **ლომი** – მშვენიერ ხასიათზე ხართ, ასე განაგრძეთ. **ქალწული** – საჩუქარი მოგეწონებათ, იფიქრეთ საპასუხოზე. **სასწორი** – ვიღაცას თქვენი თანაგრძნობა სჭირდება, არ დაიშუროთ. **მორიელი** – ახალი სამსახური მოგეწონებათ, ხელფასიც კარგი იქნება. **მშვილდოსანი** – არ გარისკოთ, დღეს არ ღირს. **თხის რქა** – არ გადაიღალოთ, ცოტა დაისვენეთ. **მერწყული** – იფიქრეთ სამომავლო გეგმებზე, სწორედ რომ დროულია. **თევზები** – სხვას ნუ დაადანაშაულებთ, ჩაუფიქრდით თქვენს თავს.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

# კუდ-მა კორუფციული დანაშაულის მორიგი ფაქტი გამოავლინა

კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლებმა სახელმწიფო მოხელის მიერ ჩადენილი კორუფციული დანაშაულის მორიგი ფაქტი გამოავლინეს.

შს სამინისტროს ინფორმაციით, დაკავებულია ქალთა სასჯელაღსრულების დაწესებულების სპეც აღრიცხვის განყოფილების უფროსი, ნონა ქირია, რომელიც არწმუნებდა მსჯავრდებულს და მის დედას რომ ქონდა ახლობლური ურთიერთობა სამართალდამცავი ორგანოს ხელმძღვანელებთან და პატიმარს გაათავისუფლებდა სასჯელისგან საპროცესო შეთანხმებით ან შეწყალების გზით. ამ მოტივით ნონა ქირიამ დაზარალებულებს გამოსძალა 70000 ლარი.

დანაშაული ითვალისწინებს 9 წლამდე თავისუფლების აღკვეთას. სისხლის სამართლის საქმეს იძიებს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტი.

**პრაიმ-ნიუსი**

## გიყვართ ჭორაობა? ტესტი



***1. თქვენს შეფს მდივანთან რომანი აქვს, თქვენ:***

ა) არავის ეტყვით, ბ) მთელ სამსახურს მოსდებთ – 3, გ) მხოლოდ უახლოეს კოლეგებს ანდობთ საიდუმლოს – 5.

***2. ჭორაობა არის:***

ა) გადასარევი გასართობი საშუალება – 3, ბ) მხოლოდ დაბოლმილი ადამიანის საქმე – 2, შურისძიების საუკეთესო საშუალება – 5.

***3. თქვენი კოლეგა ძალიან მნიშვნელოვან საიდუმლოს განდობთ, თქვენ:***

ა) ბოლომდე შეინახავთ – 5, ბ) ყველას მოუყვებით – 3, გ) მიიჩნევთ, რომ თქვენი გამოცდა სურს – 2;

***4. საუბარში ხედავთ, რომ თქვენი მეგობარი მეტისმეტად აჭარბებს, თქვენ:***

ა) მაშინვე შეაწყვეტინებთ ლაპარაკს – 3, ბ) დაე, იტრაბახოს – 5, გ) ბოლომდე მოუსმენთ – 2.

### პასუხები:

**0-დან 10 ქულამდე:** თქვენი ნდობა ნამდვილად შეიძლება, ჭორაობა გიყვართ, მაგრამ ყოველთვის ხვდებით, რისი თქმა შეიძლება და რისი – არა. ბევრ თქვენს მეგობარს მოსწონს თქვენი ასეთი გაწონასწორებული ხასიათი და ცდილობენ, მოგბაძონ. იმდენად იხარჯებით სხვებისთვის, რომ საკუთარი პრობლემები გავიწყდებათ. არც სხვების მესაიდუმლეობა გიზიდავთ. ყოველთვის ცდილობთ, დაიცვათ ზღვარი და არასოდეს გადახვიდეთ მას. იცით, რომ ასეთი საქციელი ზედმეტ პრობლემებს არ შეგიქმნით.

**12-დან ზემოთ:** ნამდვილი ჭორიკანა ხართ. ყოველთვის გრძნობთ, რომ ჭორაობა თქვენი სტიქიაა და, თუ რაიმე ჭორი თვითონ არ გაიგეთ, თავად იგონებთ მათ. გარშემომყოფებს თქვენთან პირის გაღების ეშინიათ, იციან, რომ ელემენტარულ ამბავს გიგანტურ მოვლენად გადააქცევთ. ასეთი საქციელის გამო ხშირად კარგავთ საყვარელ ადამიანებს, თუმცა რამდენიმედღიანი გლოვის შემდეგ იგი გავიწყდებათ და ახლის ძებნით ირთობთ თავს. თუ სხვა ღირებულებებით დაინტერესდებით, მიხვდებით, რომ ამქვეყნად ჭორაობაზე გაცილებით უკეთესი საქმეები არსებობს.

**გ. თ.**

## იუმორი



ფსიქოლოგი:

– იცით, კოლეგა, ერთ ჩემს ნაცნობ ქალბატონს სიბნელისა ეშინია. ვცადე მისი დარწმუნება, რომ სიბნელეში საშიში არაფერია, მაგრამ ისეთი არგუმენტები მომიყვანა, რომ ახლა უკვე მეც მეშინია სიბნელის...

* * *

ახალგაზრდა მშობლებმა ახალშობილი ექიმთან მიიყვანეს. ექიმმა ჩვილი გასინჯა და ამბობს:

– რა ლამაზი ბავშვი გყავთ.

– თქვენ ალბათ ყველას ამას ეუბნებით.

– არა, მხოლოდ იმათ, ვისი ბავშვიც ნამდვილად მომწონს.

– აბა, დანარჩენებს რაღას ეუბნებით?

– „როგორ გგავთ თქვენი შვილი!“

* * *

ქმარი ცოლს:

– ხომ გთხოვე, შარვალი გამიუთოვე-მეთქი.

– გავაუთოვე!

– ტყუილია, ასი დოლარი როგორც მედო ჯიბეში, ისევ ისე დევს...

* * *

ავტობუსში ახალგაზრდა ვაჟი ავიდა და მოხდენილი გოგონას გვერდით დაჯდა. გოგონამ შუბლი შეიჭმუხნა და ეკითხება:

– რა გასხია?

– ოდეკოლონი „შვიდი მამაცი“.

– სუნის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ერთ-ერთ მამაცს, მგონი, რაღაცისა მაგრად შეეშინდა..

**გ. თ.**

# რუსეთს ჰიპერხმოვანი რაკეტების დაჭერაც შეეძლება

საჰაერო-კოსმოსური თავდაცვის სისტემას, რომელსაც რუსეთის თავადაცის სამინიტრო ქმნის, შესაძლებლობა ექნება დაიჭიროს ნებისმიერი რაკეტა, მათ შორის ჰიპერხმოვანი. ამის შესახებ თავდაცვის სამინისტროს კოლეგიაზე რუსეთის სამხედრო უწყების ხელმძღვანელმა ანატოლი სერდიუკოვმა განაცხადა.

მისი თქმით, სისტემების ინტეგრაცია შესაძლებელს ხდის ნებისმიერი მფრინავი აპარატების დაჭერას, მათ შორის ჰიპერხმოვანისას ჰაერშიც და კოსმოსშიც.

„ბი-ბი-სის" ინფორმაციით, სერდიუკოვმა კოლეგიაზე ასევე განაცხადა, რომ 2012 წლიდან რუსეთის ჯარში ფუნქციონირებას სამხედრო პოლიციაც დაიწყებს.

ამ კონტექსტში შეგახსენებთ, რომ აშშ-ს შეიარაღებულმა ძალებმა იარაღის ახალი, ჰიპერხმოვანი სახეობა გამოსცადეს. საფრენი აპარატის მიერ განვითარებული სიჩქარე ხმის სისწრაფეს ხუთჯერ აჭარბებს.

მანქანის სამუშაო სახელწოდებაა – „პროგრესული ჰიპერხმოვანი იარაღი".

გამოცდისას აპარატმა ჰავაის კუნძულ კაუაიდან დო ატოლა კვაჯალეინამდე (მარშალის კუნძულები) 3,7 კილომეტრიანი დაშორება ნახევარ საათზე ნაკლებ დროში დაფარა, – წერს „ვაშინგტონ პოსტი".

აშშ–ს ხელისუფალნი ამბობდნენ, რომ „პროგრესული ჰიპერხმოვანი იარაღის" შექმნა გათვალისწინებულია ახალი სამხედრო პროგრამით, რომელიც ამერიკელებს პლანეტის ნებისმიერ წერტილში, ერთ საათზე ნაკლებ დროში ობიექტების განადგურების საშუალებას მისცემს.

ვაშინგტონში ირწმუნებიან, რომ ახალი იარაღი ტერორისტების განადგურებისთვის იქნება გამოყენებული.

განსხვავებული მონაცემებით, მისი დახმარებით სხვა ქვეყნებში აშშ-სთვის არასასურველ რეჟიმებს დაამხობენ.

აშშ–მ მიმდინარე წელს ჰიპერხმოვანი შეიარაღების მეორე პროტოტიპის გამოცდა უკვე ჩაატარა. აგვისტოში ამერიკელებმა საფრენი აპარატი „ფალკონ ჰაშტივი-2" გამოსცადეს, რომელმაც ავტორების ჩანაფიქრით უნდა განავითაროს სიჩქარე, რომელიც ხმის სიჩქარეს 20-ჯერ აჭარბებს.

თუმცა, სამხედრო-საჰაერო ბაზა „ვანდენბერგიდან" (კალიფორნიის შტატი) გაშვების შემდეგ მალე აპარატმა რეალური დროის რეჟიმში დედამიწაზე ტელემეტრული მონაცემების გადმოგზავნა შეწყვიტა.

ზოგიერთი მონაცემებით, მანქანა სადღაც წყნარ ოკეანეში დაიმსხვრა. ანალოგიური პრობლემები ასეთი საფრენი აპარატის პირველი გამოცდისას წარმოიშვა, რომელიც 2010 წლის აპრილში ჩატარდა.

# ეგვიპტის მთავრობა გადადგა



ეგვიპტის დედაქალაქის ტაჰრირის მოედანზე პოლიციასა და დემონსტრანტებს შორის მძიმე შეტაკებების შემდეგ ქვეყნის მთავრობა პრემიერ-მინისტრის ესამ შარაფის მეთაურობით გადადგა.

ამჟამად, ქვეყნის სათავეში მყოფი შეიარაღებული ძალების უმაღლესი საბჭო მთავრობის გადადგომის საკითხს განიხილავს.

როგორც უცხოურ მედიას ეგვიპტის მთავრობის წარმომადგენელმა მოჰამედ ჰაზაგიმ განუცხადა, ქვეყნაში არსებული კრიზისული მდგომარეობის გათვალისწინებით მთავრობა თავის მოვალეობას იმ დრომდე შეასრულებს, ვიდრე გადადგომის საკითხი არ დაკმაყოფილდება.

არეულობები ეგვიპტის დედაქალაქში მას შემდეგ დაიწყო, რაც პოლიციამ დემონსტრანტებისგან ქაიროს მთავარი მოედნის ძალის გამოყენებით გათავისუფლება გადაწყვიტა.

დემონსტრაციების მიზეზად შეიარაღებული ძალების უმაღლესი საბჭოს მიერ ძალაუფლების საკუთარ ხელში კონცენტრაცია და მისი სამოქალაქო მთავრობისთვის სრულად გადაცემასთან დაკავშირებით არსებული პრობლემები გახდა.

ტაჰრირის მოედანზე მყოფი დემონსტრანტები მთავრობის გადადგომის ცნობას აპლოდისმენტებით შეხვდნენ.

ჰოსნი მუბარაქის რეჟიმის დამხობიდან ცხრა თვის შემდეგ ეგვიპტეს კვლავ შეიარაღებული ძალების უმაღლესი საბჭო მართავს, რომელიც მოსახლეობაში პოპულარობით არ სარგებლობს.

28 ნოემბერს ქვეყანაშიÐსაპარლმენტო არჩევნები შედგება, სადაც გამარჯვების ყველაზე მეტი შანსი ისლამისტებს აქვთ. არჩევნების შედეგების მიხედვით, ახალი კონსტიტუციის დასაწერად კომისია შეიქმნება.

# სამგლოვიარო განცხადებები

ალექსანდრე (საშა), გულნაზი, მელსი სილაგაძეები ოჯახებით იუწყებიან

**თამაზ ვიქტორის ძე ქაქუჩაიას**

გარდაცვალებას.

---

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ღრმა მწუხარებას გამოხატავს აფხაზეთის საზოგადოებრიობის თვალსაჩინო წარმომადგენლის, ღირსეული მოქალაქის, ცნობილი ხელმძღვანელი მუშაკის

**თამაზ ქაქუჩაიას**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

მანანა და ნუგზარ ფიფიები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**თამაზ ვიქტორის ძე ქაქუჩაია**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

შპს „თერგი 1"-ის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან ევგენი ბარათაშვილის დედის

**თინათინ სარალიძის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახსა და ახლობლებს.

---

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# კარლოს სლიმ ელუ – პლანეტის უმდიდრესი ადამიანი



კარლოს სლიმი

ჟურნალ „ფორბსის" ვერსიით, მსოფლიოს ყველაზე მდიდარი ადამიანი კარლოს სლიმი 1997 წელს სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე იმყოფებოდა და სასწაულებრივად გადარჩა, – ამტკიცებს მისი პირადი ბიოგრაფი ხოსე მარტინესი.

– გულთან დაკავშირებული პრობლემების გამო, სლიმი რამდენჯერმე სიკვდილთან ახლოს იყო. ამის გამო გულ-სისხლძარღვთა ქირურგებს ხშირად აკითხავდა, – წერს ის თავის ახალ წიგნში „მსოფლიოს ყველაზე მდიდარი ადამიანის საიდუმლოებები. კარლოს სლიმი", რომელიც ამ კვირაში გაყიდვაში გამოვა.

წიგნის გამოსვლაზე მექსიკური მასმედიის საშუალებები იტყობინებიან. მასში ნათქვამია, რომ სლიმი „იმქვეყნად უკვე იმყოფებოდა და გაუგებარი, ჯადოსნური გზით უკან ბრუნდებოდა".

ბიოგრაფი აღნიშნავს, რომ სლიმს გულთან პირველი პრობლემები ჯერ კიდევ 1992 წელს დაუდგინეს, როდესაც ის ჯერ არ იყო მსოფლიოს ყველაზე მდიდარი.

70 წლის კარლოს სლიმ ელუ, საკომუნიკაციო სფეროს უზარმაზარი ინდუსტრიული იმპერიის მფლობელი, მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან ბიზნესმენად ითვლება. „ფორბსის" რეიტინგის მიხედვით, მექსიკელი მილიარდელი 2010 წლის მსოფლიოს ყველაზე მდიდარი ადამიანების სიას უდგას სათავეში. ის დღეს არა მხოლოდ ლათინური ამერიკის, არამედ დედამიწის უმდიდრესი ადამიანია.

უნდა აღინიშნოს, რომ სლიმ ელუ პირველი არაამერიკელია, ვინც უკანასკნელი 16 წლის მანძილზე ნომერ პირველ უმდიდრეს ბიზნესმენად დაასახელეს. მისი პირადი ქონება 60 მილიარდ დოლარს შეადგენს.

საკუთარ სამშობლოში სლიმი უკვე დიდი ხანია იქცა ფანტასტიკურ ფიგურად. იგი ადამიანებს თანამედროვე ზღაპრის გმირს აგონებს, რომლის მიხედვითაც ღარიბი ლიბანელი ემიგრანტების ოჯახში აღზრდილი მორიდებული ყმაწვილი მოულოდნელად აურაცხელი სიმდიდრის მქონე, ყოვლისშემძლე ფიგურად გადაიქცა.

ქვეყანაში, სადაც ათეულობით მილიონ ადამიანს თავი დიდი გაჭირვებით გააქვს, სადაც მატერიალურ კეთილდღეობას უმაღლეს ჯილდოდ და ღვთის წყალობად თვლიან, სადაც ყოველი ათასი პესოს გამომუშავებას წარმატებულ მეწარმეობად აღიქვამენ და ჩქარობენ მთელი ქვეყნის წინაშე იტრაბახონ საკუთარი მიღწევებით – იქ ყველაზე გამორჩეული მილიარდელი არანაირ სურვილს არ ამჟღავნებს მოახდინოს საკუთარი ბიოგრაფიის აფიშირება.

არასტანდარული სუპერმილიარდელის ასეთმა იმიჯმა, გულგრილობამ დიდებისა და თაყვანისცემისადმი, თვით უკიდურესად პრაგმატული ჩრდილოამერიკული პრესაც დააბნია, რომელიც დროდადრო კარლოს სლიმის მისტიკურ მახასიათებლებზე ამახვილებს ყურადღებას და ლათინოამერიკელ მეფე მიდასს უწოდებს.

ცნობილია, რომ ბერძნული ლეგენდის მიხედვით, ეს ფრიგიელი მმართველი დაჯილდოებული იყო უნარით ყველაფერი ოქროდ ექცია, რასაც შეეხებოდა.

არაბული წარმოშობის მექსიკელი ბიზნესმენი კარლოს სლიმ ელუ 1940 წლის 28 იანვარს მეხიკოში დაიბადა. პატრიკს, კარლოსის უმცროს შვილს, კარგად ახსოვს, რომ მამამისი ყოველთვის არ ყოფილა ასე მდიდარი.

კარლოსი პერიოდულად ეკონომიკის შესახებ ლექციებს უტარებდა თავის სამ ვაჟიშვილს – მემკვიდრეებს. გაკვეთილები პრაქტიკული იყო, დამყარებული კონკრეტულ მაგალითებზე. სლიმს, რომელიც თავის დროზე მათემატიკას ასწავლიდა, სურდა შვილებსაც სცოდნოდათ ის, რაც მან, თავის მხრივ, მამისაგან ისწავლა.

მამამისმა, რომელიც მექსიკაში ემიგრაციაში 1902 წელს ჩავიდა, მალევე დაიწყო ბიზნესსაქმიანობა. სიტუაციის წინასწარ განჭვრეტის უნიკალური ნიჭი კარლოს სლიმ ელუს სწორედ მამისაგან ერგო მემკვიდრეობად.

დასაწყისში, საკუთარი სადაზღვევო კომპანიის განსავითარებლად, 55 მილიონი დოლარი დახარჯა, ჩადო სოლიდური ინვესტიციები საცალო ვაჭრობის ქსელ „შანბორნს" – ში და სასტუმროების ბიზნესში. ეს კაპიტალდაბანდებები სლიმების უზარმაზარი ბიზნეს-იმპერიის საფუძველი გახდა.

თუმცა, ეს შემდეგ. თავდაპირველად კი კარლოს სლიმ ელუმ თავისი სამეწარმეო საქმიანობა სხვადასხვა სახის ვაჭრობით დაიწყო. სწორება ნაკლებად მდიდარ მექსიკელ მყიდველზე გააკეთა და დააარსა სავაჭრო ფირმა „ჩარსო", რომელიც დღეს ქვეყნის მასშტაბით კონკურენციას უწევს ისეთ ადგილობრივ ქსელს, როგორიცაა „ჩალ-Mარტი". შემდეგი ნაბიჯი ელუსთვის ბიზნესის განსავითარებლად გახდა სამთო მადანი და ქვანახშირი. მისი კორპორაცია „რისცო" გაფართოვდა და გახდა ეროვნული სამთომოპოვებითი ინდუსტრიის და ქიმიური წარმოების ერთ-ერთი ლიდერი.

თავისი საქმიანობის გაფართოების და განმტკიცების პროცესში, სლიმმა გათვალისწინა სხვადასხვა ფაქტორები და ქვეყნის ხელმძღვანელობასთან პოლიტიკური კავშირები განამტკიცა. ეს შემდგომ მას და მის კომპანიას ძალიან წაადგა.

ინტერესით სხვადასხვა სფეროებისადმი და მათი ათვისების უნარით, მას მილიარდელ ჯონ როკფელერს ამსგავსებენ.

60-იანი წლების დასაწყისში, მექსიკის ეროვნული უნივერსიტეტის საინჟინრო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, კარლოსმა კიდევ რამდენიმე კომპანია შეიძინა.

1982 წელს მექსიკაში ეკონომიკური კრიზისი დაიწყო. ინვესტორები მეხიკოს ტოვებდნენ და კარლოს სლიმს მიეცა შესაძლებლობა მთელი რიგი კომპანიები ძალიან დაბალ ფასად შეესყიდა.

80-იანების დასასრულს მექსიკის ეკონომიკა კვლავ ფეხზე წამოდგა. ამ დროისათვის კარლოსი ქვეყნის ყველაზე წარმატებულ ბიზნესმენად იქცა. როდესაც მექსიკის ხელისუფლებამ გაყიდვაში სახელმწიფო სატელეკომუნიკაციო კომპანია „თელეფონოს დე მეხიკო" გამოიტანა, სლიმმა ყველა ღონისძიება გამოიყენა საიმისოდ, რომ მისი მფლობელი გამხდარიყო.

კარლოს სლიმის კიდევ ერთ წარმატებად იქცა ის, რომ გახდა პოლიტიკური პარტიის სპონსორი, რომელსაც სათევეში ედგა მექსიკის ყოფილი პრეზიდენტი კარლოს სალინას დე გორტარი.

საერთოდ, პოლიტიკაში ინვესტირების წყალობით სლიმმა შეძლო, რომ თავის ბიზნესს მექსიკის ხელისუფლების მრავალწლიანი მხარდაჭერა მოუტანა. მისმა ფინანსურმა იმპერიამ, 15 წელზე მეტი ხნის განმავლობაში, პრაქტიკულად ქვეყნის სატელეკომუნიკაციური სისტემის მონოპოლიზება მოახდინა.

შემდგომი წლების მანძილზეც სლიმი კვლავ ეძებდა გზებს თავისი ბიზნესის განსავითარებლად და ამ მიმართულებით ყოველთვის წარმატებებს აღწევდა.

აღსანიშნავია, რომ ეს გენიალური ბიზნესმენი ცნობილია თავისი უცნაურობებით. კერძოდ, საქმიანი შეხვედრების დროს ყოველთვის ატარებს ძველ, იაფიან საათებს და კალკულატორებს.

კარლოს სლიმი მექსიკაში განათლების და სოციალური სფეროს განვითარებისათვის საკმაოდ დიდ თანხებს დებს. ის ითვლება პროგრამის „ლეპტოპი ყველა ბავშვს" ერთ-ერთ მთავარ სპონსორად.

ცოტა ხნის წინ 100 მილიონი დოლარი გადარიცხა ბილ კლინტონის ფონდში, რომელიც ლათინურ ამერიკაში სიღარიბის დასამარცხებლად იბრძვის. ამას გარდა, მან საკმაოდ დიდი ინვესტიცია განახორციელა მეხიკოს ისტორიული ნაწილის რესტავრაციისათვის.

კარლოს სლიმ ელუს სოციალური დახმარების საკუთარი თვალთახედვა აქვს. მისი აზრით, გაცილებით უკეთესია ადამიანებს შეუქმნა სამუშაო ადგილები და მისცე შანსი თავად გამოიმუშავონ ფული, ვიდრე უბრალოდ აჩუქო მათ გარკვეული თანხები.

1997 წლიდან გულის ოპერაციის შემდეგ, 67 წლის კარლოს სლიმ ელუმ ინიციატივა თავის ვაჟიშვილებს გადააბარა. დღეს მისი ოჯახი ერთიანად მართავს ბიზნეს-იმპერიას. სლიმების ოჯახს რამდენიმე ოჯახური ტრადიცია აქვს: მათ შორის, კოლექტიური დასვენება დასავლეთ მექსიკის სანაპიროზე. ზაფხულობით ოჯახის ყველა წევრი ერთად იკრიბება, რათა კალიფორნიის ყურის რომელიმე პლაჟზე გაატარონ რამდენიმე კვირა. ოჯახური შეკრებებისადმი სლიმებს დიდი სიყვარული აქვთ.

კარლოს სლიმ ელუ შვილებზე საუბრისას აცხადებს: ადამიანების უმრავლესობას სურს შეცვალოს რამე უკეთესისკენ, რათა მათმა შვილებმა კარგად იცხოვრონ, მე მინდა შევცვალო ჩემი შვილები უკეთესისკენ, რათა ისინი მოემსახურონ უკეთ ადამიანებს და დედამიწას.

*მოამზადა გერა მამულაშვილმა*

# TV პროგრამა

**ოთხშაბათი 23 ნოემბერი**

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **09.00 გიორგობა 12.45** ცხოვრება მშვენიერია **13.50** ვაშინგტონი დღეს **14.30** ქართ. ფილმი **"ფესვები" 15.00** სერ. **"მეორე შანსი" 16.00, 20.00** მოამბე **17.00** სპიკერი **18.00** პეპე და მეგობრები **19.05** სერ. **"მეორე შანსი" 21.00** დოკ. ციკლი "ოკუპაცია" **22.00** ევროპული არჩევანი **23.00** ევროკავშირი და საქართველო **23.40 ჩემპიონთა ლიგა.** არსენალი-დორტმუნდი **01.35** მოამბე **01.55** მხ. ფილმი **"ამერიკული მთები"** (12) **04.00** მხ. ფილმი **"ქმრები და ცოლები"** (12)

**08.00, 00.40** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00** პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია **19.00** სერ. **"ელიტარული უბანი" 20.00** მხ. ფილმი **"ელისაბედ სმარტის ამბავი" 01.00** მხ. ფილმი **"ბიძაშვილები"**

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"როსალინდა" 11.00** სერ. **"კლონი" 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.30** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს კურიერი **13.30** შუა დღე **15.40** კომედი შოუ **17.00** სერ. **"ავრორა" 18.45** სერ. **"მიყვარხარ ლოლა" 19.45** სერ. **"სახლი მეზობლად" 22.00** იღბლიანი ბორბალი **23.40 ჩემპიონთა ლიგა. 01.40** შუა დღე **03.00** ჩემპ. ლიგის მიმოხილვა **03.30** პატრული **04.00** მხ. ფილმი (სუბტ.)

**07.30** იმედის დილა **10.00** სერ. **"მოპარული ბედნიერება" 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 02.20** ქრონიკა **11.40** სერ. **"ქალის სიტყვა" 12.30** დღის შოუ **14.30** ტვ-მარკეტი **14.40** სერ. **"ყავა და ლუდი" 16.00** სერ. **"შურისძიების საფასური" 17.40** სერ. **"ევა ლუნა" 19.05** სერ. **"ბედისწერის ქალა" 21.00** სერ. **"დამალული სიმართლე" 22.00** "ფორმაში" **23.00** თბილისი ლაივი **00.00** ფლეშმობშოუ **01.20** მხ. ფილმი **"აგვისტო"** (15) (ჯ. ჰარტნეტი) (სუბტ.) **03.20** მხ. ფილმი **"სიბრმავე"** (18) (ჯ. მური) (სუბტ.) **06.30** სერ. **"მარინა"**

**08.00** ანიმაცია "ტომი და ჯერი" **08.55** სერ. **"ჩემი შეყვარებული" 10.00** მხ. ფილმი **12.00, 15.15, 17.00** ტვ-მარკეტი **12.15** სერ. **"მეათე სამეფო" 13.00** მზესუმზირა (პირდ.) **15.30** მხ. ფილმი **17.10** სერ. **"ტყუპები" 18.00** მხ. ფილმი **20.00** სერ. **"მარტოხელა მტრედი" 21.00** სერ. **"გაუხსნელი საქმე" 22.00** მხ. ფილმი **00.00** მხ. ფილმი

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00, 23.40** სერ. **10.00** დოკ. ფილმი **11.10, 14.10, 17.10** ინგლისურის გაკვეთილი **11.40, 15.00, 18.00** თურქულის გაკვეთილი **11.50, 21.10** სერ. **12.50, 19.35** სერ. **"ცნობილი ოჯახები" 15.15** სერ. **"ექიმი ქმორი" 16.00** დოკ. ფილმი **16.30** დროის ვექტორი **18.15** დოკ. ფილმი **23.00** სცენა **00.30** მხ. ფილმი

**ერთსულოვნება**

**08.30** განთიადი **09.00 გიორგობა** (პირდ.) **12.15** მხ. ფილმი **"გლახის ნაამბობი" 13.50** კონცერტი – "დები გოგოჭურები" **14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **15.05** განთიადის სტუმარი **15.25** მხ. ფილმი **"ფიროსმანი" 16.45** კვირიაკე **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.25** ერთი წვეთი **18.40** წარმატების ფორმულა **19.35** მხ. ფილმი **"ამაღლება" 21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** გზა, რომლითაც ვიარე **22.20** ქართული ალბომი **22.40** დოკ. ფილმი "საწნახელი" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ. ფილმი "წმინდა დიდმოწამე გიორგი" **23.35** დოკ. ფილმი "კონსტანტინე ქართველი" **00.40** განთიადის სტუმარი **01.00** კონცერტი – რ. სეფისკვერაძე

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით**

